№ 153
შაბათი, 27 აგვისტო.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 153
შაბათი, 27 აგვისტო.

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან, თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დაუბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

საჯარო ბიბლიოთეკა

რედაქცია აუწყებს ხელნაწერების იმ ავტორებს, ვისთანაც წინდაწინვე გარიგებული არ არის, რომ ყოველ წერილს, რომელზედაც აღნიშნული არ იქნება ავტორის პირობები ჰონორარის შესახებ, რედაქცია უფასოდ ჩასთვლის და, თუ დაიბეჭდა, ჰონორარს არ გადიხდის.

24 აგვისტოს, საღამოთი, ბარნაბიანთ კარში (გორის მაზრა), ხანგრძლივის ავად-მყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა

სალომე იოსებ ყანჩელის ასული აბულაძისა,

რასაც მეუღლე მისი, **პლატონ ქრისტეფორეს ძე აბულაძე** და დედა **ალექსანდრა გიორგის ასული ყანჩელისა შვილებითურთ** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. მიცვალებულს დაკრძალვენ შაბათს, 27 აგვისტოს, სოფელ ბარნაბიანთ კარში.

(2—2)

ნაფიცი ვექილის თანაშემწე

კ. ი. ჯაფარიძე

გადავიდა ყორღანოვის ქუჩაზე, თავ. არღუთინსკის სახლში, № 26.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ მას მიეცა „ღალატის“ ავტორისა და აგრედვე მის მთარგმნელებისაგან (გ. ყიფშიძე და კ. მესხი). განსაკუთრებული უფლება ამ პიესის სცენაზე წარმოდგენისა. ამიტომ დრამ. საზ. გამგ. ნებადაურთველად სხვა ვისგანმე „ღალატის“ სცენაზე დადგმა აკრძალულია.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ფ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტიხიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ჟ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ზძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ვ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. **ზძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი **ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ექვთიმე ვაშაკიძე—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ცხოვრების განვითარება

—

ჯერ სულ რამოდენიმე თვე არის მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ გაარღვია ის შემბოჭავი ძალები, რომელიც მას სულს უხუთავდნენ და სიტყვას და აზრს გულშივე უკლავდნენ

ჯერ კიდევ დღესაც სიტყვის და აზრის თავისუფლება არ არის ოფიციალურად გამოცხადებული, მაგრამ მაინც ყველას ისე გვგონია, რომ დიდი ნაბიჯი გადავდგით, რომ ძირიანად შევცვალეთ ცხოვრების მსვლელობა და ის წარსული დრო მხოლოდ ხანდახან გაგვახსენდება, როგორც დიდი ხნის განვლილი, ჩვენგან საუკუნოებით დაშორებული.

ჯერ კიდევ კანონით, ოფიციალურად არ არის შემოღებული სიტყვის და აზრის თავისუფლება, ჯერ კიდევ ისინი, ვინც ძველადვე წინანდელ წესების ბატონობას შეჩვეული ყოფილა, აქა-იქ ცდილობენ შეაფერხონ საზოგადოებრივ აზრის თავისუფალი გამომჟღავნება, მაგრამ ეს ცდა ამაოდ რჩება და ფაქტიურად საზოგადოებამ სრული თუ არა, წინანდელთან შედარებით მაინც, შესამჩნევი თავისუფლება მოიპოვა და ახლა მას ბევრ ისეთ რამეებზე შეუძლია თავისუფალი მსჯელობა, რის ხსენებაც ამ რამდენიმე თვის წინეთ ბოროტმოქმედებად ჩაეთვლებოდა და სასტიკ დასჯასაც გამოიწვევდა..

აქ საჭირო არ არის იმის განხილვა, თუ როგორ, რა საშუალებით მოახერხა საზოგადოებამ ამ უფლებების მოპოვება,—ცხადი კი არის, რომ ეს უფლება მას „ნაბოძები“, „ნაწყალობევი“ არა აქვს, რომ ეს უფლებები თან მოჰყვა საზოგადო ძალთა განვითარებას...

იქ, სადაც ხალხი მონობის სამარცხვინო გრძნობებს ვერ ასცილებია და სხვის ბატონობას ადვილად იტანს, სხვის ბრძანებას მორჩილად ემსახურება, იქ სიტყვის და აზრის თავისუფლება ისეთ აუცილებელ საჭიროებად არ ეჩვენება ყველას, როგორც გათვითცნობიერებულ ხალხში, რომელიც იბრძვის თავის ცხოვრების გასაუმჯობესებლად და უნდა თავის ნებაზე მოაწყოს ცხოვრება...

ამნაირ გამოფხიზლებულ საზოგადოებაში, რომელიც მოზვირთებულ წყალს მოგვაგონებს, გარეგანი ზომებით ბუნებრივ განვითარების გაჩერება არ შეიძლება. გაბატონებულ კლასსების მაგივრად თავს იჩენენ ახალი ძალები. საზოგადოება ჯგუფებად იყოფა, ყოველი ჯგუფი თანდათან ირკვევს მიზანს,—ცხოვრების იდეალს და ამ იდეალის განსახორციელებლად ამა თუ იმ გზას ადგება, ამა თუ იმ საშუალებას მიმართავს. სდგება პოლიტიკური პარტიები, ყოველი პარტია თავის „პლატფორმას“ აცხადებს, თავის პროგრამმას, თავის მოთხოვნილებას. ყოველი პროგრამმა მომხრეებს იჩენს და მთელი ხალხი ამ ჯგუფების საერთო მოქმედებაში ებმება, მონაწილეობას იღებს საზოგადო კითხვების გარკვევაში და, არჩევნების დროს, საერო კრებაში იმას ირჩევს წარმომადგენლად, რომელიც თავის მიმართულებით მას უფრო გამოსადეგი ჰგონია.

ცხოვრების ასეთი წყობილება ჯერ კიდევ ახლად შემოდის ჩვენში,—ხალხმა ჯერ კიდევ მხოლოდ შეიგნო თავისი ძირითადი უფლება მოისურვა საერთო საქმეების გადაწყვეტაში სრული მონაწილეობა მიიღოს, და თუმცა ჯერ კიდევ აქაც ოფიციალურად ეს მისი უფლება ცნობილი არ არის და აქაც ძველ რეჟიმის ბატონობას შეჩვეულნი აქა-იქ სცდილობენ ხალხის გამოფხიზლება შეუძლებლად გახადონ, მაგრამ მაინც ცხოვრების შეჩერება აქაც შეუძლებელი გამოდგა და ხალხმა სოფლებში მაინც ფაქტიურად თითქმის მიიღო ის უფლება, რომელიც მას თეორიულად ეკუთვნის...

დრო წინ მიექანება. მის მისწრაფებას საშინელი ძალა აქვს და მისი შეჩერების მსურველნი თვითონვე ვარდებიან უფსკრულში.

ზოგიერთებს აშინებს ცხოვრების ასეთი მსვლელობა,—ხალხი არ არისო მომზადებული იმისთვის, რომ წესიერად ისარგებლოს თავისუფლებით მაგალითები მოჰყავთ, რომ აქა-იქ ხალხმა ბოროტად მოიხმარა თავისი უფლება, რომ ზოგან თავისუფლების მოტრფიალე თვითონ ჩადიოდა ძალმომრეობას, რომ წესიერების მაგიერად ანარქიული მდგომარეობა შემოდის ზოგან.

მაგრამ ავიწყდებათ, რომ ამასაც თავისი მიზეზები აქვს, რომ იქ, სადაც მოქალაქის უფლება არაფრად ფასდება, სადაც მოქალაქეს აჩვევენ ქედის მოხრას მათრახისა და ყოველივე ძალის წინაშე, სადაც კანონიერების მაგიერობას ეწევა ბიუროკრატიის დაბალ მოხელეთა თვითნებობა და ძალმომრეობა, იქ ხალხი თვითონ ეჩვევა ამასვე, იქ ხალხი ამ ჩვეულებებს ასე ადვილად ვერ დაივიწყებს...

დრო უნდა იმას, რომ ადამიანმა გულიდან ის ველური ინსტიქტები აღმოიფხვრას, რომელიც მასში ჩაუნერგავს ძალმომრეობის გაბატონებას, დრო უნდა და იმ პირობების მოსპობაც, რომელთაც შექმნეს ეს ინსტიქტები.

ამიტომ არის, რომ არ გვიკვირს, როდესაც აქა იქ ძალმომრეობის მაგალითს ვხედავთ, ეს მაგალითები გვაღონებს, მაგრამ არ გვისპობს მომავლის იმედს.

თავისუფლება განასპეტაკებს იმას, რაც დაამახინჯა მონობამ, ძალმომრეობამ. ეს თავისუფლება გამარჯვებულის ნაბიჯით წინ მიიწევს, ამ მსვლელობას თან ვერ მიჰყვება კანონმდებლობის განვითარება. ცხოვრების, თავისუფლების განვითარება წინ უსწრებს კანონდებლობის განვითარებას და ეს გარემოება საუკეთესო საბუთია იმისი, რომ ხალხი თავის საწადელს მიაღწევს. მისი ზრდა ბუნებრივია და არა ხელოვნური—კანონების გამოცემით შექმნილი.

კანონმდებლობაც დაემორჩილება ცხოვრების განვითარებას.

ი. ლ—ძე.

სიკვდილით დასჯა

(მ. ნ. გერნეტისა)

ვინ იქმნება ამჟამად ჩვენში, რომ ზიზღით არ იხსენიებდეს იმ დროს, როდესაც ბოროტმოქმედის დასასჯელად მას ცეცხლზე სწვავდნენ, წყალში არჩობდნენ, თავს და ხელ-ფეხსაც სჭრიდნენ, ვინ იქმნება, რომ არ შეძრწუნდეს ამ საშინელ ამბების გახსენებაზე. . მაგრამ განა შორს არის ჩვენზე ის დრო, როდესაც მეცნიერი იურისტები ამნაირ სასჯელს სასარგებლოდ და სამართლიანად სთვლიდნენ, როდესაც ზოგიერთი აცხადებდა კიდეც,—ეს სასჯელი არ არისო საკმარისად სასტიკი?

ჩვენ დროში ვერ გამოჩნდება ვერც ერთი ისეთი მეცნიერი ან მწერალი, რომ დაწვის, დარჩობის ან დაჩეხის წინააღმდეგი არ იყოს, მაგრამ აქა-იქ შეგვხვდებიან კიდევ ჩამოხრჩობის, გილიოტინით თავის მოკვეთის, ან ავაზაკთა ელექტრონით მოკვლის მომხრენი. სამეცნიერო საფუძველს ეძებენ იმის დასამტკიცებლად, რომ „იურიდიულ მოკვლის“ ესა თუ ის წესი მოსაწონია, და კაცთმოყვარეობის გულისთვის ითხოვენ გილიოტინით თავის მოკვეთის მაგივრად ავაზაკის ელექტრონით მოკვლას, ელექტრონით ადამიანის მოკვლის მაგივრად—მის მოწამვლას და სხვა და სხვა..

1888 წელს ექიმთა საზოგადოება ნიუ-იორკში ავაზაკის მოსაკვლელად საუკეთესო, კაცთმოყვარეობის მხრივ უფრო მოსაწონ საშუალებას ეძებდა.

ავსტრიაში, 1874 წელს, სისხლის სამართლის ახალ კანონების გამოცემის დროს, ზოგიერთი მეცნიერი და მწერალი საჯაროდ აცხადებდა თავის უკმაყოფილებას, ჩამოხრჩობის მაგივრად გილიოტინით თავის მოკვეთა რად არ შემოიღეთო. მოკვლის ასეთი წესი იმიტომ არის უფრო მოსაწონიო, რომ ავაზაკს აქ ჰკლავსო გილიოტინა და არა ადამიანი; როგორც ჩამოხრჩობის დროს. ამ აზრის მიმდევართათვის ბოროტმოქმედის ხელფეხის შეკვრა, მისი დადება გილიოტინის ნაჯახის ქვეშ არაფრით არა გავს ბაწრის ყელზე ჩამობმას ადამიანის ჩამოსარჩობად.

რუსეთში, სადაც თითქმის ყველა მეცნიერი და მწერალი თეორიულად სიკვდილით დასჯის წინააღმდეგია,—თავიანთ წიგნებში, უნივერსიტეტებში ლექციების დროს პროფესორები აცხადებენ, რომ სიკვდილით დასჯა დასაგმობია, მაგრამ როდესაც ახალ სისხლის სამართლის კანონების შედგენა მათვე მიანდო მთავრობამ, იმდენი მოქალაქობრივი გაბედულობა ვერ გამოიჩინეს, რომ თავიანთი თეორიები სისრულეში მოეყვანათ და ეს დასჯა ახალ კანონმდებლობაში არ შემოეღოთ... ამ სასჯელს თავისი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვსო და ამიტომ მისი მოსპობის საკითხი თვით უმაღლესმა მთავრობამ გადასწყვიტოსო, ჩვენ კი ჩვენდათავად ვაცხადებთ, რომ მისი მოსპობა სასურველად მიგვაჩნიაო.

სიკვდილით დასჯა შერჩა რუსულ კანონმდებლობას *).

სასჯელთა დებულებაში წინედ არაფერი ეწერა იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა მომხდარიყო სიკვდილით დასჯა. ახალმა დებულებამ შემოიღო ჩამოხრჩობა, რომელიც, მართალია, წინედაც იხმარებოდა. ჩამოხრჩობასთან ერთად რუსეთში დახვრეტაც არსებობს, თუმცა იშვიათად კი. 1865 წლიდან 1881 წლამდის მაგ. სულ 28 კაცი იყო დასჯილი სიკვდილით და ამათში მხოლოდ ერთი დახვრიტეს, 27 კი ჩამოარჩვეს.

როგორ ხდება ამ სასჯელის სისრულეში მოყვანა? რუსულ ჟურნალში „ისტორიჩესკი ვესტნიკში“ 1881 წ. აწერილია, როგორ ჩამოარჩვეს პეტერბურგში ხელმწიფე ალექსანდრე მეორის მკვლელები,—ჟელიაბოვი, კიბალჩიჩი, პეროვსკის ქალი, რისაკოვი და მიხაილოვი (1881 წ. 3 აპრილს).

„დილას 7 საათს 50 წამზე ციხის კარები გაიღო და იქიდან გამოვიდა ორი სამარცხვინო ეტლი,—ერთზე იჯდა ჟელიაბოვი და რისაკოვი, მეორეზე—კიბალჩიჩი, მიხაილოვი და პეროვსკის ქალიც,—ყველა დაბმული იყო ორი საჟენის სიმაღლეზე და მძიმედ ირყეოდა, მათ გულზე შავი ფიცრები ჰქონდათ ჩამოკიდული წარწერით: „ხელმწიფის მკვლელიო“. ამ ეტლებს მიჰყვებოდა სამის ეტლით ხუთი შემოსილი ღვდელი .. დასასჯელნი გაატარეს შპალერის ქუჩაზე, ლიტეინი პროსპექტზე, კიროჩნი, ნადეჟდინის და ნიკოლაევის ქუჩაზე სემიონოვის მოედნისაკენ. ქუჩებში ხალხი ბუზივით ირეოდა. გარშემო ქვეითა და ცხენოსანი ჯარები იყო გამწკრივებული.

სემიონოვის მოედანზე უკვე მომზადებული იყო მომაღლებული ადგილი და სარჩობელაც უკან ხუთი კუბო იდგა. საჟენ ნახევარზე მსაჯულებისთვის და ადმინისტრაციის დაპრესსის წარმომადგენელთათვისაც ცალკე მომაღლებული ადგილი იყო დამზადებული. 8 საათს და 50 წუთზე დასასჯელები მიიყვანეს სარჩობელამდის. ჯალათმა ფროლოვმა ჩამოხსნა ისინი და სამარცხვინო ბოძებს მიაკრა. ხუთივე გარეგნად დამშვიდებული იყო, განსაკუთრებით პეროვსკის ქალი, კიბალჩიჩი და ჟელიაბოვი. პეროვსკისას ლოყები დაწითლებოდა, თვითონ კი გარშემო მდგომ ხალხს გადასცქეროდა. რამოდენიმე წუთის განმავლობაში სასამართლოს განჩინებას კითხულობდნენ. ამის შემდეგ მათთან ჯვრებით ხელში შემოსილი ღვდლები მოვიდნენ,—ჟელიაბოვს ამის დანახვაზე სახეზე ღიმილი დაეტყო. მიხაილოვმა და ჟელიაბოვმა უკანასკნელად გადაკოცნეს პეროვსკის ქალი. ხუთივე სარჩობელის თოკთან მიიყვანეს. ჯალათმა ზედა ტანისამოსი გაიძრო, მისი წითელი პერანგი შორიდან მოსჩანდა. ნელა, აუჩქარებლად გადააცვა მან ხუთსავე ჩამოსარჩობს გრძელი სუდარა და ყელზე შემოაბა თოკი, ჟელიაბოვი და პეროვსკის ქალი თავს იქნევდნენ, თითქო რაღაცა უშლიდა კისერზე. რისაკოვი, რომელსაც უკანასკნელად ჩამოაცვეს სუდარა, დანარჩენების დანახვაზე, ერთ წამს წაბარბაცდა, ჯალათმა და მისმა თანაშემწეებმა თითო თითოდ აიყვანეს ხუთივე ჩამოსარჩობი შავ სკამზე და როდესაც ამ სკამს მათ ფეხქვეშიდან გამოაცლიდნენ, კისერში ბაწარ გაბმული ადამიანი ჰაერში რჩებოდა. მხოლოდ რისაკოვმა გაუწია ცოტაოდენი წინააღმდეგობა ჯალათებს,—ცდილობდა სკამიდან არ გარდმოვარდნილიყო, მაგრამ ჯალათის თანაშემწეებმა სკამი ძალით წაათრიეს განზე და რისაკოვიც თავის ამხანაგების გვერდით ჩამოეკიდა... ჩამოხრჩობილები ოცი წამის განმავლობაში ეკიდნენ ჰაერში, შემდეგ კი, 9 საათზედ და 50 წუთზე, ისინი ჩამოიღეს სახრჩობელიდან, კუბოებში ჩააწყვეს და სასაფლაოსკენ წაასვენეს“

ეს ჩამოხრჩობა ამ ოცდა ოთხი წლის წინედ მოხდა.

სიკვდილით დასჯა კანონის ძალით რუსეთს გარდა არსებობს ავსტრო-უნგრეთში, ინგლისში და ჩრდილო ამერიკის ზოგიერთ შტატშიაც.

დამსწრეთა სიტყვით, ჩამოხრჩობილები არ ყვირიან, თუმცა ტანი კი ეგრიხებათ, ენა გამოუვარდებათ პირში... მეცნიერ ჰამედის სიტყვით ჩამოხრჩობილს გონება იმ წამსვე ეკარგება, სიკვდილით კი იგი მხოლოდ 6—8 წამის შემდეგ კვდება, ხშირად 16 წამის შემდეგ ჩამოხრჩობილს სიცოცხლის ნიშნები ეტყობა და მომხდარა ისეც, რომ ჩამოხრჩობილები გამოცოცხლებულან, მაგ. 1880 წ. 12 აპრილს ქ. რააბში, უნგრეთში ვიღაც ტაკაი ჩამოარჩვეს;—სიცოცხლის ნიშნები რომ დაჰკარგა, ანატომიურ თეატრში წაიყვანეს და აქ ნახევარ საათის შემდეგ სუნთქვა დაიწყო, გონება დაუბრნდა, თუმცა მხოლოდ 3 დღეს იცოცხლა და 15 აპრილს გარდაიცვალა.

ესპანიაში სიკვდილით დასასჯელს რკინის საყელურით არჩობენ.

საფრანგეთსა, საქსონიასა, ბავარიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში სიკვდილით დასასჯელს გილიოტინით თავს ჰკვეთენ. ამას დიდი ხნის მომზადება სჭირია ხოლმე: ჯალათი ხელფეხს უკრავს დასასჯელს, მაკრატლით საყელოს უჭრის, რომ კისერი გამოუჩინოს და სხ.

ნიუიორკის და ოგაიოს შტატებში სიკვდილით დასასჯელად ელექტრონია შემოღებული.

აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია, რამე ვთქვათ სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგოდ—აგერ ას წელიწადზე მეტია საამისო საფუძვლები უკვე სავსებით წამოაყენა მეცნიერებამ და ყოველი მკითხველი ვალდებულია ეს საფუძვლები თვითონაც იცოდეს. მაგრამ ზემოთმოყვანილი სიკვდილის დასჯის წესების აღწერაც საამისო საფუძვლად გამოდგება,—ამის წაკითხვის დროს ვის არ გააჟრიალებს, ვინ იქნება ასეთი, რომ არ შეძრწუნდეს!

უაზროდ მიგვაჩნია ზოგიერთ მეცნიერის და მწერლის კამათი იმის შესახებ, თუ რომელი წესია სიკვდილით დასჯის დროს უფრო მოსაწონი და საქები: ეს კაცთმოყვარეები ივიწყებენ, რომ სუყველაზე უფრო ძნელია ის დრო, ის დღეები, ის საათები და ის წუთები, რომელიც დასასჯელმა უნდა გაატაროს სიკვდილით მოლოდინში. მეცნიერება ტყუილად კი არ ამტკიცებს რომ სიკვდილით დასჯა უბრალო კაცის მკვლელობაზე უფრო სასტიკია, ვინაიდან აქ კაცი კვდება და წინდაწინვე იცის, რომ უნდა მოკვდეს. ამ მოლოდინით დატანჯულმა მკვლელმა კიროდმა ჩამოხრჩობის წინ შეჰყვირა მსაჯულებს «თქვენ ჩემზე უარესი მკვლელები ხართ!“

ამ სატანჯველის მოსასპობად ერთად-ერთი საშუალება—სიკვდილით დასჯის უარყოფაა! რა სახელი უნდა დაარქვას ადამიანმა იმათ საქციელს, ვინც კაცთმოყვარეობას ეტანება და მსჯელობს იმაზე: რა სჯობია, კაცის ჩამოხრჩობა, მისი თავის მოკვლა, თუ ელექტრონით მისი სიცოცხლის მოსპობა. (პრ.)

---

*) ამ უკანასკნელ დროს, სიკვდილით დასჯა გახშირდა. ეს სასჯელი გადაუწყვიტეს მაგ. კოლიაევს, ვასილიევს. დეიჩს, სიდორჩუკს, როგანევს, პასხომენკოს, ერმაკოვს, ბურგინენკოს, ხარჩუკს, მჟედლობერს, კომაროვსკის, კულიკოვსკის, გერშკოვიჩს, მანკოვსკის, კაზაკოვს, კრაუზეს ოკრეჟის. ამ სიაში არ შედის ისინი, ვინც კავკასიაში იქმნა ჩამოხრჩობილი.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

25 აგვისტო.

ათინა, 24 აგვისტო. ნაზოვნ უემბარების გამო დანიშნულმა გამოძიებამ სომხების ეკლესიის სარდაფში ასაფეთქებელ მასალას, თოფებისა და სხვადასხვა საბუთების საწყობი აღმოაჩინა. საქმე სომხების სარევოლუციო საზოგადოების შეთქმულებას შეეხება. ბევრი დაატუსაღეს. ფიქრობენ, რომ ამისთანა საწყობები ბევრი არსებობსო.

ტოკიო, 24 აგვისტო. (რეიტერი). კონფერენციის გადაწყვეტილების გამო მთელი ერი უკმაყოფილებას აცხადებს. ზავის შეკვრა არსად არ უდღესასწაულიათ. ფიქრობენ, რომ კაცურას სამინისტრო იძულებული გახდება სამსახურს თავი დაანებოსო.—შორეულ აღმოსავლეთში მყოფ ჯარის უკან გადმოყვანას ათი თვე მოუნდება და დიდ-ძალი ფულიც დასჭირდება. ამ საქმისთვის საჭირო ხარჯის დაფარვა შინაგან სესხის გამოცემითაც შეიძლება, მაგრამ ეშინიათ, რომ უკმაყოფილო ხალხი სესხზე ხელს არ მოაწერსო. იაპონიის ტელეგრაფის სააგენტოს მოჰყავს აზრი ერთ გამოჩენილ გენერალისა, რომელიც უკმაყოფილებას აცხადებს იმ პროტესტების გამო, რომელიც ზავის პირობების შესახებ იმართება იაპონიაში, და იმ აზრს გამოსთქვამს, რომ იაპონია ფულისთვის არა ომობდა და ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებით დანახარჯს ის მოკლე ხანში სავსებით აანაზღაურებსო.

ტოკიო, 25 აგვისტო. (რეიტერი). დღეს დილით აქ მშვიდობიანობაა. ფიქრობენ, რომ საღამოთი მღელვარება ისევ დაიწყებაო.

ტოკიო, 25 აგვისტო. დღეს ბრბომ მარკიზ იტოს ქვები დაუშინა, მაგრამ იტო უვნებელი გადარჩა.

ვენა, 24 აგვისტო. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმართა იმ ადგილების უფროსებს, სადაც შესაძლებელია ხოლერა გაჩნდეს და სთხოვა: ეპიდემიის თავიდან ასაცილებლად ყოველ-გვარი ღონისძიება იხმარონ. გალიციიდან მოსულებს სასტიკად თვალყურს ადევნებენ. უკვე შვიდი კაცი გახდა ავად ხოლერით, ამათგან სამი ავადმყოფი გარდაიცვალა.

პარიზი, 24 აგვისტო. ლონდონში მყოფ იაპონიის ახალ-შინის წარმომადგენელს უთქვამს: „მე დარწმუნებული ვარ, რომ გუშინდელი ჩვენი მტერი—რუსეთი—მომავალში საუკეთესო მეგობარი გაგვიხდებაო. ჩვენ ვიცით, რომ იაპონიაში ბევრნი აცხადებენ უკმაყოფილებას, მაგრამ, ეჭვს გარეშე, ეს უკმაყოფილება მალე გაივლისო. რაც შეეხება იაპონიის რევოლუციას, ამაზე ლაპარაკიც კი სასაცილოა“.

სევსკი, 25 აგვისტო. ზაიცევის ეკონომიის გაძარცვის გამო პასუხის გებაში 36 კაცია მიცემული; ამათგან ოთხი გაამართლეს, ოთხს ორის თვით დაპატიმრება გადაუწყვიტეს, დანარჩენს 28—ყველა უფლებათა ჩამორთმევა და რვა-რვა თვით სატუსაღო განყოფილებაში დაპატიმრება.

რიგა, 25 აგვისტო. ზავის შეკვრის გამო, მთელი ქალაქი ბაირაღებით არის მორთული.

ხარკოვი, 25 აგვისტო. საღამოთი გარდაიცვალა სატეხნოლოგიო ინსტიტუტის დირექტორი პანამარევი.

პეტერბურგი, 25 აგვისტო. მოუსავლიანობის გამო დაზარალებულ გუბერნიებს დამხმარებელ ყველა უწყების წარმომადგენელთა პირველი კრება შესდგა 25 აგვისტოს. კრებას თავმჯდომარეობდა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი გოფმეისტერი ვატაცი, დაესწრნენ ორმოცდაათზე მეტი წარმომადგენელი შემდეგი სამინისტროებისა; შინაგან საქმეთა, ფინანსთა,

გზათა და სახელმწიფო კონტროლის, მიწად-მოქმედების და საუფლისწულო მთავარ გამგეობების, საგუბერნიო და სამაზრო საერობო გამგეობის, ბირჟის კომიტეტებისა და სხვა უწყებებისა. საერობო განყოფილების გამგე კამერგერ გურკოს მიერ მოხსენებულ ცნობებიდან სჩანს, რომ ყველაზე მეტად დაზარალდა გუბერნიები: სარატოვისა, რიაზანისა, სამარისა, პენზისა, ტამბოვისა, ორლოვისა, ვორონეჟისა, ტულისა და ვიატკისა. უფრო ნაკლებად: ვიტებსკისა, ყაზანისა და პსკოვისა. ციმბირის გუბერნიიდან ცნობები ჯერ არ მოსულა, დაახლოვებულ ანგარიშით საჭიროა საჭმლად 36 მილიონი ფუთი ხორბალი და $12^{1}/_{2}$ მილიონი სათესლედ. ხორბლის საყიდლად სახელმწიფო ხაზინას დასჭირდება 36 მილიონი მანათი გადასდოს. შემდეგი კრება 26 აგვისტოს შესდგება.

რადგანაც პეტერგოფში ზავის ჩამოგდების გამო პარაკლისი იქმნა გადახდილი, გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით დღეისთვის დანიშნული კრება, პარასკევისთვის გადაიდო. კრება, სხვათა შორის, განიხილავს საკითხებს წინასწარ საარჩევნო კრებებისა და პოლონეთიდან არჩევანთა წესების პროექტის შესახებ. კრებებზე მონაწილეობის მისაღებად მოწვეულია დიდძალი მამულის პატრონი პოლონელი დეპუტატი.

დღეს პეტერგოფს დიდ სასახლის ტაძარში ხელმწიფე იმპერატორისა, ხელმწიფე იმპერატრიცებისა, ბერძენთა დედოფლისა და დიდი მთავრების თანდასწრებით გარდახდილ იქმნა წირვა ზავის ჩამოგდების გამო.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 25 აგვისტო. საბირჟო კომიტეტმა კავკასიის ნამესტნიკს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „ნიჟე-გოროდის ბირჟა ბაქოდან მოსულმა ცნობებმა საშინლად აღელვა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ენერგიულ ზომებს მიიღებთ და დარღვეულ წესიერებას აღადგენთო“.

ლონდონი, 24 აგვისტო. ხელის მოწერის შემდეგ, რუსეთისა და იაპონიის რწმუნებულებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. კომურა დელეგატებს მიესალმა. ვიტტემ ყველა რწმუნებულნი რუსის დელეგატების სადგომში მოიწვია და კომურასა და ტაკაჰირასთან იმუსაიფა. ნალაპარაკევის შინაარსი საიდუმლოდ დარჩა. საერთო დარბაზში დაბრუნებისთანავე შამპანიური მიართვეს. ყველამ ზავს დღეგრძელობა უსურვა. ამბობენ, იმ კალამშა, რომლითაც ვიტტემ საზავო პირობებს ხელი მოაწერა, ას თუმანს აძლევდნენო.—ტოკიოდან მოსული დეპეშები იუწყება, რომ იაპონიაში ბევრს ალაგას ზავის პირობების საწინააღმდეგო მიტინგები გაიმართაო. მთავრობის გაზეთის „კოქუმინ“-ის კანტორა სულ მთლად გაუნადგურებიათ. რამდენიმე დაჭრილია. ბევრს აპატიმრებენ. ამ ცნობებს იაპონიის მთავრობაც ამოწმებს.

პეტერბურგი. გაზეთების ცნობებით, პოლონეთში სახელმწიფო სათათბიროში წარმომადგენლების ამორჩევა, თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის-მიერ გრაფ სოლსკის რჩევაში წარდგენილ მოსაზრებისა, ისეთივე წესით მოხდება, როგორც რუსეთის შუაგულ გუბერნიებში: ყოველ გუბერნიიდან სათათბიროს წევრად თითო გლეხს ამოირჩევენ, ამასთან არჩევანი სამკეცი უნდა იყოს. სავლეხო კრებები მოსამართლის თავმჯდომარეობით მოხდება ხოლმე სოფლის საზოგადოებების-მიერ ამორჩეული პირები შეიკრიბებიან საგუბერნიო ამომრჩევლების ასარჩევად, ეს უკანასკნელები კი მთელი გუბერნიების გლეხების წარმომადგენლად თითო კაცს ამოირჩევენ. მიწად-მფლობელები, რომელთაც არა ნაკლები 200 მორგის მამული აქვთ, ადგენენ ამომრჩეველთა სამაზრო კრებას. სამაზროთ ამორჩეული პირები ადგენენ საგუბერნიო ამომრჩევლებს. ამათ უერთდება ის სამაზრო და საგუბერნიო ქალაქები, რომელთაც საკუთარი წარმომადგენელი არა ჰყავთ.

ოდესა, 24 აგვისტო. ხვალ აქ მოვა შავი ზღვის ესკადრა, რომელსაც აჯანყებული მატროსები მოჰყავს.

ლონდონი, 25 აგვისტო. იუწყებიან რომ ორი ბანკი რუსეთის ახალ სესხის გამო უკვე მოლაპარაკებას შეუდგა. დაწვრილებით ცნობები არ მოსულა.

პორტსაიდი, 29 აგვისტო. გუშინ, საღამოთი, ინგლისის გემს „ჩიტამს“, რომელსაც იაპონიაში 70 ტონნი დინამიტი მიჰქონდა, ცეცხლი წაეკიდა. იძულებულნი გახდნენ, გემი სუეცის არხში ჩაეძირათ.

სან-ფრანცისკო, 24 აგვისტო. რუსის ტრანსპორტი „ლენა“ უკვე შეაკეთეს და 17 ენკენისთვეს ვლადივოსტოკში ავა.

პეტერბურგი. როგორც ხმა დადის, საზავო ხელშეკრულობის ნამდვილი, სრული ტექსტი გარეშე საქმეთა სამინისტროში 24 აგვისტოს მოვიდა. სამინისტრომ ეს ამბავი მაშინვე სამხედრო მინისტრს აუწყა.

ტოკიო, 25 აგვისტო. გუშინ საღამოთი დემონსტრაციამ საშიში ხასიათი მიიღო. დაჭრილია ხუთასი კაცი. რამდენიმე მოკლულია. ერთი საპოლიციო შენობა დაანგრიეს, „ტაიმს“-ის ცნობებით, კობესა, ნაგოიასა, ოსაკას, სასებოსა, კანაზავასა და კიოტოშიაც არეულობაა. წვრილი გაზეთები საჯაროდ აღიარებენ, რომ ზავის პირობები იაპონიისთვის დამამცირებელია. ზომიერი პრესსა ამტკიცებს, რომ როდესაც ხალხი ზავის პირობებს კარგად გაეცნობა, უსათუოდ კმაყოფილი დარჩებაო. მთავრობა აცხადებს, რომ დემონსტრაციები მხოლოდ დროებითია და მალე ბოლო მოეღებაო.

ლონდონი, 25 აგვისტო. „ნიუ იორკ ტაიმს“ ი გამოაქვეყნებს შინაარსს იმ ლაპარაკისას, რომელიც ამერიკის კონგრესის წევრებს 22 აგვისტოს, ბერლინში, ვილჰელმთან ჰქონიათ. იმპერატორი ყვითელ საფრთხეზე ლაპარაკობდა და ამბობდა, რომ იაპონელები თავისუფალ ვაჭრობას აკრძალავენ და, რადგანაც იაპონიაში სამუშაო ხელი ძალიან იაფია, მალე ამერიკელებსა და ევროპელებს აღმოსავლეთის ბაზრიდან განდევნიან. იაპონელები ჩინეთშიაც გაბატონდებიან. იმპერატორმა დაუმატა, ყვითელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად ყველა თეთრ-კანიანები უნდა შეერთდნენო.

გუნჯულინი, 25 აგვისტო. რუსების მოწინავე რაზმები აისიოტის სანაპირო გზას მიუახლოვდნენ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

გერმანიის კულტურტრეგერები აფრიკაში გერმანიის კოლონია სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში თვითონ გერმანიის იმპერიაზე ორჯერ მეტია. ეს ამოდენა ადგილი დასახლებულია შავკანიან და ნახევრად ველურ გერეროს ხალხით. ამ ხალხის განათლება იკისრა გერმანიამ და განათლა კიდეც. ეს ,,განათლება‘‘ იმაში მდგომარეობდა, რომ გერმანიის კოლონისტები შავკანიანებს იმონებდნენ, არაფრად აგდებდნენ და ისეთ საშინელ სისასტიკით სდევნიდნენ, როგორც შეეფერება მხოლოდ თანამედროვე ბურჟუაზიას. ამ ავანტიურისტებმა კარგად იცოდნენ, რომ ასეთ ბარბაროსობისა და ექსპლოატაციის ნებას გერმანიაში არ მისცემდნენ, და თავიანთ მხეცურ ინსტინქტების ობიექტი აფრიკაში მოსძებნეს. იქ სრული თავისუფლება ჰპოვეს: შავკანიანებზე ნადირობდნენ და ისე ხოცავდნენ როგორც ჩიტებს; შეიტანეს ცივილიზაციის კვალი—ლოთობა და გახრწნილება და იმოდენა ხალხი ყმად გაიხადეს. სამართალი არსად იყო და გერმანიის კულტურტრეგერებსაც სწორედ ეს უნდოდათ. მაგრამ შავკანიან ველურსაც მოთმინების საზღვარი აღმოუჩნდა. მათ არ ისურვეს თოფ-ზარბაზნებით განათლება და აჯანყდნენ. გერმანიის მთავრობამ, რასაკვირველია, თავის კოლონისტებს მხარი დაუჭირა და გერეროების განათლება და მორჯულება თოფ-ზარბაზნს მიანდო. ამჟამად აჯანყებულთა წინააღმდეგ თავგანწირულად იბრძვის გერმანიის არმია, რომელიც 15000 კაცისგან შესდგება, მაგრამ არც შავკანიანები უთმობენ და თავიანთ ცხვარსა და საქონელს ევროპელებისგანვე შეძენილ იარაღით იცავენ. გერმანიის მთავრობამ გამოაცხადა, დღემდის შავკანიანების დამშვიდება 250 მილიონი მარკა დაგვიჯდა, უმთავრესი ხარჯი ჯერ კიდევ წინ არისო. გერეროს აჯანყებას გერმანია თითქმის გულგრილად მიეგება და დარწმუნებული იყო, რომ ორიოდე ყუმბარა აჯანყებას ბოლოს მოუღებდა, მაგრამ მერე, როცა შავკანიანებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს გერმანიის მხედრობას, ცოტა შეფუცხუნდნენ და კულტურტრეგერებს ახალი ჯარი მოაშველეს. იმპერატორმა ამ ჯარს სარდლად ნამდვილი იუნკერი გენ. ტროგა დაუნიშნა და უბრძანა, დაუყოვნებლივ დაამშვიდე აჯანყებულნიო. ტროგა ისეთის გულმოდგინებითა და ენერგიით შეუდგა ,,დამშვიდებას‘‘ რომ ყველაფრის მნახველი ევროპაც კი შეძრწუნდა იმის სისასტიკით. ამ მხრით შესანიშნავია ტროგას ბრძანება, რომელიც ამერიკელ ინდოელების ამოჟლეტის დროის ბრძანებას მოგვაგონებს. ,,გერმანიის კოლონიაში დაჭერილი ყველა გერერო, თუნდ იარაღიც არ ჰქონდეს, უნდა დაიხვრიტოს,—ნათქვამი იყო ბრძანებაში, არც ქალებსა და არც ბავშვებს არ შეიბრალებთ და ყველას დახვრეტავთ. გერეროები უდაბნოში უნდა გაიხვეტნენ და გერმანიის კოლონია დაიცალიეროს.‘‘ მეორე ბრძანებაში ნათქვამი იყო: „ესროლეთ ბავშვებსა და ქალებსაც და უდაბნოში გარეკეთ ისინი, სადაც წყურვილით ამოიჟლიტებიანო‘‘. ამ ბარბაროსულ ბრძანებას გერმანიაში სოციალისტების გარდა არავინ ყურადღება არ მიაქცია. სოციალისტებმა პროტესტი განაცხადეს, მაგრამ მალე მიჩუმდნენ. გენ. ტროგასთვის რომ დაეცალათ, მალე მოახერხებდა შავკანიანების ამოჟლეტას და უდაბნოში გადარეკას, სადაც ისინი უწყლობით უნდა განადგურებულიყვნენ, მაგრამ ინგლისის პრესსამ ყველაფერი გამოამჟღავნა და მთელი ქვეყნის პრესსა აალაპარაკა. გერმანიის იმპერატორს, ცოტა არ იყოს, შერცხვა, ხალხის დასამშვიდებლად გენ ტროგა „ავადმყოფობისა გამო“ ადგილიდან დაითხოვა და შავკანიანების ამოჟლეტა უფრო „კულტურულ“ ხერხით განიზრახა. გერმანიის ჯარი ჯერაც ებრძვის გერეროს, მაგრამ წინანდელი სისასტიკე, როგორც ამბობენ, აღარ არის. ვინც კი იცის ბურჟუა-კულტურტრეგერების სიმხეცე, ის, რასაკვირველია, არ დაიჯერებს, რომ გერმანია აჯანყების მოსპობას კულტურულ გზით აპირობს. საქმე მხოლოდ გარეგნულად გამოიცვალა: გენერლები საქვეყნოდ აღარ აცხადებენ, რომ „ბავშვებსა და დედაკაცებსაც არ დაინდობენ“, ნამდვილად კი არავის იბრალებენ და, დღეს თუ ხვალ, მიზანს მიაღწევენ: ზოგს ამოჟლეტავენ, დანარჩენს კი გადარეკავენ უდაბნოში, „სადაც ისინი უწყლობისა გამო განადგურდებიან“.

გრაფ ოკუმას აზრი კორეისა და მანჯურიის შესახებ. იაპონიის პროგრესის პარტიის მეთაურმა, გრაფმა ოკუმამ ერთ იაპონურ ჟურნალში ვრცელი წერილი დაბეჭდა მანჯურიისა და კორეის მომავლის შესახებ. „რუსეთ იაპონიის ომს ძალიან დიდი ეკონომიური შედეგი ექნება,—სწერს ოკუმა,—იაპონიამ როგორმე უნდა აინაზღაუროს ომის ხარჯი. იაპონიაში ხალხი სწრაფად მრავლდება. აქამდის იაპონელებს ჰყოფნიდათ თავიანთი ბრინჯი, ახლა კი სხვა ქვეყნიდანაც შემოაქვთ. ცხადია, რომ მეურნეობით იაპონია ვერ გამოიკვებება და ამიტომ ძალაუნებურად ვაჭრობასა და მრეწველობას უნდა დაადგეს. ამ მხრით იაპონიას მშვენიერი ბაზარი აქვს: მანჯურია და კორეა. იაპონელები ამ ქვეყნებში გადავლენ, თანამედროვე მანქანებს გადაიტანენ, ტეხნიკით შეიარაღდებიან და ორივე ქვეყნის საწარმოო ძალას უმწვერვალეს წერტილამდე ასწევენ. იქიდან ხორბლის გარდა მრავალ შეუმუშავებელ საქონელს წამოიღებენ, იაპონიაში შეამუშავებენ და მერე უკანვე დაუბრუნებენ. იაპონიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჩრდილო მანჯურიასა და მონგოლიას. რადგან აქედან აუარებელ მატყლის გატანა შეიძლება. ამ ქვეყნებში იაპონია კარჩაკეტილობის პოლიტიკას არ დაადგება და ყველას თავისუფალ აღებ-მიცემობის უფლებას მისცემს.

ჩინეთის მომავალი კონსტიტუცია. ამ დღეებში პეკინში დიდი ბანკეტი გაუმართავს იმ კომისიას, რომელმაც მთელი ქვეყანა უნდა შემოიაროს და საკონსტიტუციო სახელმწიფოების წესწყობილება გაიცნოს. სამიოდე თვის შემდეგ, ჩინეთის იმპერატორი გამოაცხადებს, რომ 12 წლის შემდეგ ჩინეთში კონსტიტუციას შემოიღებს. 12 წლის განმავლობაში ჩინეთის მთავრობა ურიცხვ ხალხს გაგზავნის ევროპასა და ამერიკაში. ესენი დაწვრილებით შეისწავლიან საპარლამენტო ხრიკებს და, კონსტიტუციის შემოღების დროს, დიდ დახმარებას გაუწევენ ჩინეთს. ახლო მომავალში კომისია ჯერ იაპონიაში წავა, მერე კი ევროპასა და ამერიკაში.

დამსხვრეული ღმერთი. მაკედონიის რევოლუციონერთა ბელადი, მთელ ქვეყანაზე განთქმულ ბორის სარაფოვს მაკედონელ რევოლუციონერებმა სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს საზოგადო ფულის გაფლანგვისათვის. ეს განაჩენი დაადგინა სალონიკის სარევოლუციო კომიტეტმა და შეატყობინა უსკიუბისა და მონასტირის კომიტეტებს, რომელნიც ამ სასჯელს არ დაეთანხმნენ და განსაკუთრებული კომისია დანიშნეს, რომელმაც დაწვრილებით უნდა გამოიძიოს ეს საქმე. ენკენისთვეში სარევოლუციო კომიტეტების საერთო კრება მოხდება და, თუ დამტკიცდა, რომ სარაფოვმა მართლა გაფლანგა რევოლუციონერების ფული, სალონიკის კომიტეტის განაჩენს დაამტკიცებენ და სარაფოვს—მაკედონელთა ღმერთს სიკვდილით დასჯიან.

რეფორმები რუსეთში

როგორც ვიცით, სახელმწიფო სათათბიროში საარჩევნო უფლება ისეთ ქონებრივ ცენზით არის შეზღუდული, რომ **არჩევნებში ვერავითარ მონაწილეობას ვერ მიიღებს მუშათა კლასი.** ეს ამბავი, რასაკვირველია, არ გამოეპარა მინისტრთა საბჭოს, რომელმაც ბულიგინის პროექტი განიხილა და თავის აზრი გამოსთქვა ამ პროექტის შესახებ. მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს, ს. ვიტტეს ამის შესახებ შემდეგი უთქვამს მინისტრთა საბჭოს კრებაზე: უკანასკნელ დროს მუშათა კლასი სერიოზულმა მოძრაობამ მოიცვა. თუ მუშა ხალხმა მონაწილეობა არ მიიღო მომავალ სათათბიროში, მუშათა საკითხის გამწვავება აუცილებელი იქმნება. ამიტომ რუსეთის მთავრობა სათავეში უნდა ჩაუდგეს მუშათა მოძრაობას და მუშათა საკითხი ისე კარგად უნდა გადასწყვიტოს, როგორც გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა (?!). ამ მხრით, ჩვენდა სამწუხაროდ, ხშირად პირველი ნაბიჯი ზევიდან კი არ გადაუდგამთ, არამედ ქვევიდან. ახლა მთავრობამ არ უნდა დაუცადოს მუშების ინიციატივას და თვითონვე იზრუნოს მათზე.

✦ მინისტრთა საბჭომ უარჰყო ვიტტეს წინადადება და ის აზრი გამოსთქვა, რომ მუშათა კლასი მოუმზადებლობისა გამო არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებსო (ს. ო.).

19 აგვისტოს, სახელმწიფო საბჭოს დარბაზში მოხდა კრება გრაფ სოლსკის კომისიისა, რომელმაც **არა-რუსთა მხრივ სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობის მიღების წესრიგი უნდა შეიმუშავოს.** კრების დასაწყისს, თავმჯდომარემ სოლსკიმ სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა, რომ რუსეთის განაპირა ქვეყნების მხრით არჩევნების წეს რიგის შემუშავება მეტად ძნელი საქმეა. რადგან კომისიამ ყოველთვის მხედველობაში უნდა იქონიოს, რომ განაპირა ქვეყნები სხვადასხვა ერებით არიან დასახლებულნი, რომელთაც სხვადასხვა ინტერესები აქვთ, კომისიამაც ისეთი საარჩევნო დებულება უნდა შეიმუშაოს, რომ ერთ ერს მეორესთან უპირატესობა არ მისცეს, მათში შური არ აღძრას და ამით სამწუხარო შედეგი არ გამოიწვიოს. ამიტომ კომისიამ პრინციპიალურად უნდა გადასწყვიტოს, საარჩევნო დებულება დამყარებული უნდა იქმნას ეროვნულ, თუ სარწმუნოებრივ სხვადასხვაობაზე; საჭიროა ესა თუ ის ერი ცალკე ჯგუფად გამოვყოთ, თუ ყველასთვის ერთნაირ საარჩევნო ცენზი დავაწესოთ. მცირე კამათის შემდეგ, კრება სხვა დროისთვის გადაიდო (რ. ს.).

✦ ამას წინად გამოცხადებული იყო, რომ იმ ადგილებში, სადაც გაძლიერებულ დაცვის წესია შემოღებული, ეს წესი ერთი წლით კიდევ გაგრძელდებაო. ახლა კი პეტერბურგის ზოგიერთა გაზეთს გაუგია, ვითომ სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების მოხდენის წინ მთელ **რუსეთში ომის და გაძლიერებულ დაცვის წესებს გააუქმებენო** (რ. ს.).

✦ კიევში კონსერვატორებს უკვე **დაუწყიათ საარჩევნო აგიტაცია.** ლიბერალებმაც სცადეს აგიტაციის მოხდენა, მაგრამ პოლიციამ ნება არ მისცა. კლერიკალები და რეაქციონერები თავის კანდიდატად სახელმწიფო სათათბიროში ასახელებენ კიევის უნივერსიტეტის პროფესორს, „კიევ. იზვ.“-ს რედაქტორსა და მეშჩერსკის მეგობარს პიხნოს, ლიბერალები კი ასახელებენ იმავე უნივერსიტეტის პროფესორს თავ. ევ. ტრუბეცკოისა და ცნობილ ნაფიც ვექილსა და მწერალს რატნერს (ს. ო.).

✦ ამ დღეებში გრაფ **სოლსკის მოხსენება წარუდგინეს ურალისა და ტურგაის ოლქების ყირგიზთა დეპუტატებმა** შესახებ იმისა, თუ რაგვარი არჩევნებია საჭირო სახელმწიფო სათათბიროში ზემოხსენებულ ოლქებში (ს. ო.).

✦ ჩერნიგოვის გუბერნიიდან სახელმწიფო სათათბიროში **ასახელებენ შემდეგ კანდიდატებს:** კრასოვსკის (ხმოსანია ჩერნიგოვის სამაზრო ერობისა), ა. მუხანოვს (ჩერნიგოვის საგუბერნიო ერობის თავმჯდომარედ ნამყოფს), სვეჩინს (ქალაქის საბჭოს ხმოსანია), შრაგსა (საბჭოს ხმოსანია) და ხიჟნიაკოვს. ყველანი ერობის პარტიას ეკუთვნიან; მათ შორის მხოლოდ მუხანოვია რადიკალი.

ფელეტონი

სამხედრო მეცნიერებიდან

მდინარეები.

ჯარის ზედდასხმის დროს, მის მოქმედებას, როგორც ვიცით, მეტად აბრკოლებს ტყე და მთიანი ადგილი, მაგრამ ამათზე უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს მდინარეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი წინ უხვდება მომავალ ლაშქარს.

უცხო შემოსეული ლაშქარი ტყესა და მთიან ადგილებს შორიდან აწნევს. ტყისა და მთიან ადგილის თვისებებთან თეორიულად გაცნობილი, იგი ზნეობრივად და ფიზიკურად ემზადება წინდაწინ მოსალოდნელი გასაჭირი გადაიტანოს და სძლიოს. ტყეც და მთიანი ადგილიც სახიფათოა, მაგრამ ეს ხიფათი ისეთი არ არის, რომ ადამიანმა მისი მოშორების იმედი არ იქონიოს. ათასნაირი აზრი ებადება კაცს თავში,—ტყეში გავძვრები, მთაზე ავფოფხდებიო და მართლაც ყოველივე ეს შესაძლებელია იმ ჯარისთვისაც, რომელიც მთიან და ტყიან ადგილებში სიარულს შეუჩვეველია.

სულ სხვაა მდინარე. თავი დავანებოთ განიერ მდინარეებს, რომლის პირველ დანახვაზედაც ადამიანს გადასვლის ყოველივე იმედი ესპობა... ავიღოთ პატარა წყლები,—ესენიც კი დიდ საგონებელში აგდებენ ხოლმე იმ ჯარს, რომელიც მათ წააწყდება. ამ წყლების პირველი დანახვა რაღაც შიშის ზარსა გვრის ჯარს, რომელიც ერთხანს ჩერდება ნაპირზე და მეორე ნაპირისაკენ გაიყურება. აქ, ამ მდინარეს ნაპირზედვე უნდა გადასწყვიტოს ჯარის უფროსმა იმის საკითხი, როგორ და რა საშუალებით გადაიყვანოს მეორე ნაპირას თავისი ჯარი. წინდაწინვე საამისოდ მომზადება არ შეიძლება და ამიტომ უცებ იმისი გაგება, რომ წინ მდინარეა და რომ მისი გადასვლა არის საჭირო, ყველას გულს უღონებს და ხშირად შიშის ზარსაც გვრის. ამ შიშს თავისი საფუძველიც აქვს, ვინაიდან მდინარეზე გადასვლა მეტად სახიფათო რამეა და ამასთანავე მეტად ძნელი ასასრულებელი ჯარისთვის.

ჯერ ისეთი მდინარეები განვიხილოთ, რომელთა გასვლა ხიდით, ნავით და ფონს გარეთ არ შეიძლება. ბოლოს მოვიხსენიებთ ცალკე მთის მდინარეებს, ხევ-ხუევებს და საომარ მოქმედებისთვის მათ მნიშვნელობასაც გავარკვევთ.

მდინარეებს ლაშქრების მოქმედებაზე ყოველთვის იგივე გავლენა არა აქვთ,—ეს გავლენა არის დამოკიდებული იმაზე, გვერდზე მიჰყვება მდინარე ჯარის სამოქმედო მიმართულებას, თუ ჯარს წინ უხვდება და გზას უჭრის. მნიშვნელობა აქვს მდინარის სიღრმესა და სიგანესაც, წყლის მიმდინარეობის სიჩქარეს, კალაპოტის და ნაპირების თვისებებს.

მდინარე ჯარისათვის ბუნებისაგან ამართული დამაბრკოლებელი ზღუდეა, რომელიც ჯარს წინ უხვდება და აჩერებს. რაც უფრო ღრმა, განიერი და ჩქარია მდინარე, რამდენადაც მისი კალაპოტი ოღრო-ჩოღროა და კლდე-ქვებითაც აღვსილი და რამდენადაც მიუვალი ნაპირები აქვს, იმდენად უფრო ჩამაფიქრებელია მდინარე ჯარისთვის.

მდინარე უფრო ზედდამსხმელ ჯარის მოქმედებას აფერხებს. მაზე გადასვლას ბევრი დრო და შესაფერი მასალა სჭირდება, თუ იგი გზას უჭრის ჯარს და თუ გვერდით უვლის მას, მაშინ ხომ მის მოქმედების სფეროს ავიწროებს და ზღუდავს. მომგერიებელთ შეუძლიანთ ისარგებლონ ამითი და მტრის გაჭირვებით სარგებლობის უნარი თუ გამოიჩინეს და თავიანთ წყლებისა და მდინარეების კარგი ცნობაც თუ შესწევთ, მაშინ ხომ მათთვის მეტად ადვილიც ხდება ზედდამსხმელ ჯარის შესამჩნევი დაზიანებაც.

როგორ მოქმედობენ მდინარეზე ჯარები!

რაკი მდინარე ჯარის მოძრაობას აბრკოლებს, ამიტომ ამ დაბრკოლებას სძლევენ ხიდების კეთებით; ქვეითა ჯარისთვის ხიდის სიგანე სამ ფუტზე ნაკლები არ უნდა იყოს, ცხენოსნისათვის—არა ნაკლებ ხუთის ფუტისა, საბარგესა და არტილერიისათვის კი—ცხრა ფუტი მაინც.

ხიდებს ან იმ მასალით აკეთებს ჯარი, რომელსაც ადგილობრივ იშოვნის, ან იმითი, რომელიც რეგულიარულ ჯარს ყოველთვის თან დააქვს, და რომელსაც სახელად პონტონების პარკები ჰქვია (ძირსწორე და მაღალ გვერდებიან ნავების საწყობი, ამ ნავებზე ხიდებს გასდებენ ხოლმე). ერთ პონტონის ბატალიონს თან აქვს ხოლმე მასალა $105^{1}/_{2}$ საჟენიან ხიდის გასაკეთებლად. ამნაირ ხიდზე ყოველგვარ ჯარს შეუძლია გასვლა უშიშრად, ოღონდ ზარბაზანი თავის ლაფეტიანად 300 ფუთს არ უნდა აღემატებოდეს.

ხიდით გადასვლას ერთი დიდი ნაკლი აქვს: ჯარი მეტად ნელა გადადის და ამ გადასვლას დიდ დროს ანდომებს. ამავე მიზეზით უკვე გადასულები დიდ ხიფათში ვარდებიან.—გასულებს მიშველი ჯარი ვერ მიუვა გვიანობამდის, რადგანაც ხიდების სივიწროვე ნებას არ აძლევს ერთბაშად ბევრი ჯარი გადაიყვანონ. ასეთ სახელდახელო ხიდებზე გასვლა სიფრთხილით უნდა, რიგი რიგს 5—6 ლაჯით უნდა იყოს დაშორებული, მწყობრი სიარული არ შეიძლება, ვინაიდან ასეთ სიარულს მოჰყვება ხიდის ზანზარი და პონტონიც ამის გამო დაიშლება ადვილად. სირბილით გადასვლა ხომ საფიქრებელიც არ არის.

ამიტომ ხიდზე გამსვლელებს თუ თავზე დაეცა ვინმე, ნაპირზე დარჩენილები მათ ვერ მიეშველებიან და მხოლოდ წესიერი გადასვლა უნდა განაგრძონ,—მიშველებას თუ მოისურვებენ, ჯგუფ-ჯგუფად ავლენ ხიდზე და სირბილსაც იწყებენ,—ხიდი უთუოდ ჩაიშლება და ჯარი წყალში გადავარდება.

ამნაირ შემთხვევაში ასე მიეშველებიან ხოლმე თავისიანებს: ნაპირზე მომარჯვებულ პოზიციაზე არტილერიას აყენებენ, ქვევითა ჯარი მდინარის ნაპირას იფანტება, და მალ-მალ ესვრის თოფს მოპირდაპირეს, რომ მტრის ძალა და ყურადღება თავისაკენ მიიქციოს და ამით აშკარა თავდასხმა შეუძლებლად გახადოს. ამ სროლის დროს ჯარი შედარებით უვნებლად გადადის და გადასულებიც განსაცდელში აღარ ვარდებიან.

მდინარეზე გადასვლის მეორე საშუალება—ფონით სარგებლობაა. ქვევითა ჯარმა ფონით მდინარეზე გადასვლა რომ შესძლოს წყალი 3 ფუტზე უფრო ღრმა არ უნდა იყოს, არტილერიისათვის კი 2 ფუტზე მეტი,—ცხენისთვის—4 ფუტი. ამასთან მდინარეს კალაპოტი მაგარი უნდა იყოს, სწორი და თვით წყლის დენა საშუალო. ფონის მიმართულებას და სიგანეს აღნიშნავენ პალოების ჩასმით. ჩქარ მდინარეებზე გადასვლის დროს, ფონს ქვევით ნავებს აყენებენ, ან ცხენოსნებსაც, წყლისაგან წაღებულების გადასარჩენად. თოკი თუ არის საკმარისი, კარგია მისი გაბმაც ერთ ნაპირიდან მეორემდის.

ფონით ჯერ ქვევითა ჯარი სარგებლობს ხოლმე, შემდეგ არტილერია და ბოლოს ცხენოსანი ჯარი და საბარგეები. ქვევითა ჯარის პატარა გუნდი შეიძლება ცხენოსანმა ჯარმა შემოისხას და გადაიყვანოს. ფონით გადასვლის დროს, ჯარის ფრონტს ის სიგანე ეძლევა, რა სიგანეც ფონსა აქვს. რამდენადაც უფრო ჩქარია წყლის დენა, იმდენად უფრო დაშორებულია ჯარის ერთი მწყობრი მეორესაგან. გასვლის დროს, ჯარი იარაღს განსაკუთრებით უფრთხილდება, ცხენოსნები კი ცხენებს წყალს არ ალევინებდიან, რომ ამითი არ შეფერხდეს გადასვლა.

წყლის ყოველ მოდიდებაზე მდინარე ახლად იფონება, რისთვისაც ყოველთვის ცხენოსნებს გზავნიან.

ფონით გასვლა იმითია კარგი, რომ ჯარი შედარებით ჩქარა გადადის მეორე ნაპირზე. სამაგიეროდ ამ გადასვლას თავისი ნაკლიც აქვს: წყალში სიარულით ხალხი სნეულდება მით უფრო რომ ტანისამოსის გაშრობა ხშირად შეუძლებელია. ამასთანავე შეიძლება წყალში იარაღიც დასველდეს: თოფები, ვაზნები და ზარბაზნები. ამასთან მოულოდნელად მოდიდებულმა წყალმა შეიძლება სულ შესწყვიტოს დროებით ჯარის გადასვლა ფონით.

მეორე საშუალება ცურვით გასვლაა. ქვევითა ჯარი ამ საშუალებას მეტად იშვიათად მიმართავს. თუ მაინცადამაინც წყალში ცურვა აუცილებელი შეიქმნა, ჯარი პატარ პატარა გუნდებს გზავნის, უსათუოდ დახელოვნებულ მცურავებისაგან შემდგარს.

ცხენოსან ჯარს ცურვით მდინარეს გადასვლა უფრო ეადვილება—ამისთვის იგი ისეთ ადგილს ირჩევს, სადაც წყლის დენა ჩქარი არ არის და სადაც მდინარეს კლდიანი ნაპირები არა აქვს. წყალში ჩასასვლელი იმ ადგილზე ზევით უნდა იყოს, სადაც წყლიდან უნდა ამოვიდეს ცურვით მიმავალი ჯარი. გავლის დროს ცხენოსანი ერთ ხელს ფაფარზე წაავლებს თავის ცხენს, მეორე ხელით მას მართავს,—ფეხები კი უკან გაწეული აქვთ. ამ დროს წყალში ყურება არ შეიძლება, კაცი მდინარის მეორე ნაპირს უნდა უყურებდეს.

ცხენების შეღავათისთვის ისა სჯობია, რომ ცხენოსანი უნაგირიანათ ნავით გადავიდნენ, ცხენები კი სადავით დაჭერილნი ცურვით გააყოლონ ამავე ნავებს.

მეოთხე საშუალება ნავებით, ან ტივებით გასვლაა, მაგრამ საამისოდ ჯარს დიდ-ძალი ნავები ან ტივები დასჭირდება და ნაპირზე ამის მასალა ბევრი უნდა იყოს. ჩასასხდომი ადგილი, წყლის დენის სიჩქარის დაგვარად, უფრო ზევით უნდა დაინიშნოს, ვიდრე ამოსასვლელი.

ქვევითა ჯარისთვის განსაკუთრებულ პონტონის ბატალიონებს აქვს პონტონები დამზადებული. ჩვეულებრივი პონტონი, ე. ი. ორი, ერთმანეთზე გადაბმული ნავი, 32—40 კაცს იტევს. იმ პონტონებით, რომელიც პონტონის ერთ ბატალიონს დამზადებული აქვს ხოლმე, ერთბაშად 1120 კაცის გადაყვანაა შესაძლო. ცხენოსან ჯარისთვის და არტილერიისთვის კიდევ განსაკუთრებული ბორნები კეთდება, რისთვისაც ორ პონტონს, ანუ ოთხ ნავს ერთმანეთს გადააბამენ. ასეთ ბორნით შეიძლება ერთი ზარბაზანი გადაიტანოს ადამიანმა, ოთხი ცხენი და ამ ზარბაზნის მსახურნი. გადასვლის დროს, სიჩუმე უნდა იყოს დაცული და სროლა შეუძლებლად ითვლება. დაცალიერებული პონტონები და ბორნები ისევ თავთავის ადგილს ბრუნდებიან და იმ რიგზე დგებიან, როგორზედაც წინედ ყოფილან.

მეხუთე საშუალება—ყინულზე გასვლაა: ყინულს სისქე $1^{1}/_{2}$ დუიმი თუ აქვს, შეიძლება მაზე დაეფინოს ფიცრები და ქვევითა ჯარის კაცები ცალ-ცალკე გადავიდნენ. 3—4 დუიმი თუ აქვს სისქე, მაშინ ქვევითა ჯარის კაცებს რიგობით შეეძლებათ გასვლა. 4—6 დუიმიან ყინულზე ცხენოსანა და მსუბუქი ზარბაზანიც გადივლის. 6—9 დუიმიანზე—მძიმე ზარბაზნები და საბარგეებიც, რომელნიც ამ დროს შორი-შორს უნდა მისდევდნენ ერთმანეთს.

ყინულს საჭირო სისქე თუ არა აქვს,—ფიცრებს აწყობენ ან ზარბაზნების თვლებსაც აკრავენ ფიცრებს და ამ რიგად, როგორც მარხილებზე გადააქვს. ყინვების დროს შეიძლება ხელოვნურადაც გასქელდეს ყინული. ამისთვის მას ჩალას ან წნელს აყრიან და წყალს გადაასხამენ.

ყინულზე გასვლას ის დიდი ნაკლი აქვს, რომ მოულოდნელ დათბობას შეუძლიან ყინული შეათხელოს და ამნაირად უკვე გადასული ჯარი ერთიან მოსწყვიტოს მეორე ნაპირზე დარჩენილ

ახალი ამბავი

კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწის, **სულთან-კრიმ-გირეის თავმჯდომარეობით ამ დღეებში მოხდა კრება** პირველდაწყებით სკოლების იმ გეგმის განსახილველად, რომელიც მასწავლებელთა კრებამ ამას წინად შეიმუშავა. კრებას 30 კაცამდე დაესწრო და დაადგინა—ამ გეგმაში მოხსენებულ წერა-კითხვის სკოლების გაუქმება, რადგანაც მათ მაგრე რიგად სარგებლობა არა მოაქვთ-რაო, დანარჩენში გეგმა მოწონებულ იქმნა და, საცდელად, ერთი წლით სკოლებშიაც შემოიღებენ.

✦ ყუმბარით დაჭრილი მეექვსე საპოლიციო **უბნის ბოქაული გლებოვი გადაყენებულ იქმნა თანამდებობიდან.** მის ადგილას დაინიშნა მე 5-ე საპოლიციო უბნის ბოქაული გურგენიძე, ხოლო უკანასკნელის ნაცვლად მეოთხე საპოლიციო ნაწილის ბოქაული ბაჩურინი.

✦ 24 აგვისტოს თარიღით ზანგეზურის მაზრიდან ოფიციალური დეპეშა მოვიდა **სრულიად გაუნადგურებიათ სოფლები**: დუდუაჩუ, ახილლა, ალბულახი, ხარმეიჯი. გადაუწვავთ სრულიად პურის მოსავალი, საბრეშუმო ფაბრიკა. მცხოვრებთა ერთმა ნაწილმა მოასწრო და სოფლებიდან გავიდა. რამდენსამე სოფელს ალყა არტყია. მაზრის უფროსი 6 ვერსის მანძილზეა ამ სოფლებიდან და მცხოვრებლებს დახმარებას ჯეროვნად ვერ უწევსო.

✦ ბაქოდან ჩამოსულ ნავთის მწარმოებლებს ამ დღეებში ქალაქის გამგეობაში **რჩევა ჰქონდათ და დაადგინეს:** ეთხოვოს კავკასიაში პოლიციის უფროსს გენ. შირინკინს, ყოველი ღონე იღონოს, იმ 25 მილიონ ფუთ შავ ნავთის გადასარჩენად, რომელიც ჯერ კიდევ არ გადამწვარა ბაქოს სხვადასხვა საწყობებში, თორემ რკინის გზას დიდი განსაცდელი მოელის, რადგანაც ორთქლმავლებს მარტო შავის ნავთით ახურებენო.

✦ 24 აგვისტოს, საღამოს 10 საათზე მცხეთის მახლობლად, მუხათგვერდში, თხუთმეტამდე შეიარაღებული კაცი **თავს დაეცა ეტლით მიმავალ ორ კაზაკს**, რომელთაც დიდად საჭირო ქაღალდები და ძვირფასი ნივთები მიჰქონდათ კილოვოდსკში ნამესტნიკთან. მოკლულ იქმნა ერთი კაზაკი—ანტონ მიხლევი და ერთი ცხენი. მსუბუქად დაიჭრა მეორე კაზაკიც შირიაევი, რომელიც ეტლიდან გადმოხტა, ამოეფარა ქვას და ყაჩაღებს სროლა დაუწყო. შირიაევმა მოჰკლა ერთი ყაჩაღთაგანი და მეორე დაჭრა. დაჭრილი აღმოჩნდა შორაპნის მაზრის მცხოვრები ნიკოლოზ კიკნაძე. ყაჩაღებმა კაზაკების გაძარცვა ვერ მოახერხეს და გაიქცნენ. გამოძიება სწარმოებს.

✦ კავკასიის პოლიციის უფროსმა გენ. შირინკინმა, 25 აგვისტოს ბაქოდან, დეპეშა მიიღო, რომლითაც აუწყებენ, რომ საღამოს 5 საათიდან **ბაქოში მშვიდობიანობა დამყარდა**, სროლა აღარ არის და ქუჩებში მოძრაობა დაიწყო.

✦ **ბაქოდან დეპეშით გვატყობინებენ:** „ნავთის მწარმოებელთა საბჭომ დაადგინა: არ შეუდგნენ მუშაობას, ვიდრე პირადი ხელუხლებლობა უზრუნველყოფილი არ იქნება, სანამ სოფლელ თათრებს არ გააძევებენ, იარაღს არაჰყრიან და მილიციის დაარსების ნებას არ მისცემენ“.

✦ გუშინ, 26 აგვისტოს, სათავად-აზნაურო თეატრში, თავ. ა. მ. სუმბათაშვილის თავმჯდომარეობით **შესდგა კრება ტფილისის მაზრის მემამულეებისა**. კრებას უნდა აერჩია ჩვიდმეტი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების საკითხის შესახებ მაზრის სათათბიროში. კრებას დაესწრო სწორედ ჩვიდმეტი კაცი და ინსტრუქციის მე 7 მუხლის თანახმად, ყველა ისინი ამორჩეულებად ჩაითვალნენ. ისე რომ ამორჩეულ იქმნენ შემდეგი პირნი: ა. ი. ჯამბაკურიან-ორბელიანი, მ. ი. ჯამბაკურ-ორბელიანი, ი. ს ჯაბადარი, ე. ს. ფერნაძე, ტატო ციციშვილი, ვ. დ. თულაშვილი, მ. ზ. ქანანოვი, ს. მ. გულისოვი, დ. პ. ეპიტაშვილი, ა. ა. ქალანთარი, ი. გ ბარათაშვილი, დ. გ. ნახუცრიშვილი, ზ. ს. ზავრიევი, ნ. ი. საგინოვი, მ. პ. ისარლოვი, კ. ი. სვიმონოვი და კ. მ. ენიკოლოვი და სხვ.

✦ ტფილისის საშუალო **სასწავლებელთა მოწაფეების მშობელთა თხოვნის განხილვა**, რომელიც კავკასიის საბჭოში უნდა გარჩეულიყო, სხვა დროისათვის გადაიდო.

✦ კავკასიის საპოლიციო ნაწილის უფროსმა გენერალმა **შირინკინმა მიწერილობა დაუგზავნა ბაქოს, ერევნის და განჯის გუბერნატორებს** და აცნობა, რომ ყველა ადგილებში, სადაც კი სომეხ-თათართ შეტაკება მოხდა, შესდგეს განსაკუთრებული კომისიები, რომელთაც დაწვრილებით უნდა აღნუსხონ ყველა გარემოებანი, მიზეზები და მსხვერპლთა რაოდენობა.

✦ კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო ტფილისის საბუჰალტერო კურსების გამგეს აბრამიანს ტფილისში „საბუჰგალტერო ბიუროს“ დაარსებისა.

✦ ქალაქის ხმოსანმა **ხრამელაშვილმა კავკასიის ნამესტნიკის წინაშე შუამდგომლობა აღძრა** ტფილისში სავაჭრო სკოლის დაარსების შესახებ.

✦ მანთაშევმა თავის საქმეთა მართველისაგან, 25 აგვისტოს, შემდეგი დეპეშა მიიღო: 25 აგვისტოს, ღამე, სულ ერთიანად გადაიწვა ბიბი-ებათი, მუშები, როგორც იყო, გადაარჩინეს. ცეცხლისაგან სრულიად გადაიწვა ნავთის კოშკები კასპიის ნავთის მწარმოებელ ამხანაგობისა. გენერალ-გუბერნატორის განკარგულების მიუხედავად, ზაბრატის სამრეწველო ქარხანა კანტორებიდან მსახურნი და მუშები არ იქმნენ განთავისუფლებულნი. მათი არა იციან რა ქალაქში ცოტა სიწყნარე ჩამოვარდა. სამრეწველო ადგილებიდან ქალაქში დიდ-ძალი მუშა მოსამსახურე შემოვიდა. დროებით ბინები უშოვნეს გამოქცეულთ. მოსულებს სრულიად დაუკარგავთ, რაც გააჩნდათ. დიდ ძალ ხალხისათვის ანგარიშია გასასწორებელი. საჭიროა შემწეობის აღმოჩენა.

✦ ტფილისში მცხოვრებმა მაჰმადიანებმა შუამდგომლობა აღძრეს მთავრობის წინაშე, რომ ნება მიეცეთ **დააარსონ მაჰმადიანთა კლუბი**.

✦ „ჩერნ. ვესტ.“ გადმოგვცემს, რომ ს. საჩხერეში (შორაპნის მაზრა) **რამდენიმე ბოროტგამზრახველს გზაზე მოუკლავს 6 სოფლელი გლეხი**, რომელნიც საჩხერიდან სახლში ბრუნდებოდნენ. ეჭვი მიიტანეს აზნაურ ბაქრაძეზე, რომელიც უკვე დაატუსაღეს. იმედი აქვთ, დანარჩენებსაც მალე შეიპყრობენ. ამ საზარელ მკვლელობის მიზეზად ასახელებენ თავად-აზნაურთა და გლეხებ შორის ატეხილ დავიდარაბას.

✦ როგორც გავიგეთ, ნაფიც ვექილის თანაშემწე კ. ი. ჯაფარიძე ყოველკვირეულ ჟურნალ **„მოგზაურის“ რედაქტორად** მთავრობას არ დაუმტკიცებია.

✦ კავკასიაში შემოსაღებ საერობო დებულების განსახილველად და შესამუშავებლად თიანეთის მაზრის **რწმუნებულთა არჩევა** მოხდება 1 ენკენისთვეს თიანეთში.

✦ 24 აგვისტოს ს. **ქვიშხეთში, არა ჩვეულებრივი ამბავი მოხდა**. ადგილობრივ მცხოვრებ აზნაურებს ეწვია ხუთი შეიარაღებული კაცი და ყველას იარაღი სთხოვა. უმრავლესობას იარაღი არა ჰქონდა და უარი უთხრეს. ამან გამოიწვია ჯერ მუქარა და შემდეგ სახლის გაჩხრეკა. როცა დაამთავრეს სახლების ჩხრეკა და მოსულნი თავის გზას გაუდგნენ, ერთი უცნაური გარემოება აღმოჩნდა. იარაღი რომ ვერ ეპოვნათ, ავეჯეულობისა და ფულისთვის მიუყოფთ ხელი და ქურდულად წაეღოთ. ზოგს რიდიკული დაეკარგა, ზოგს ოქროს საათი და ერთს ცხრა თუმანი ფული. არც ვერცხლის კოვზებისთვის დაეკლოთ ხელი. გამწარებული ქვიშხეთელები დაედევნენ რაინდებს და ბევრის ჩხუბისა და ლაპარაკის შემდეგ ყველამ თავ-თავისი დაიბრუნა, გარდა ცხრა თუმნისა, ფულის წაღებაზე უარი სთქვეს და არც დააბრუნეს. არ იციან, რა ორგანიზაციას ეკუთვნიან ზემოხსენებულნი, მხოლოდ იმის თქმა კი შეიძლება, რომ ამისთანა ვაჟბატონების კარგ სახელს არ მიუხვეჭავენ თავის პარტიას (ც. ნ.)

✦ იბეჭდება და ამ ახლო ხანში **გამოვა რუსულს ენაზე თავ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების პატარა ტომი**, გამოცემა ახლად დაარსებულის წიგნის გამომცემელ ფირმის „Кавказовѣдѣніе“ სი. წიგნს ქართულად ი. ევდოშვილის ლექსიც მიუძღვის თავში. რუსული თარგმანები ლექსად ეკუთვნით ქ-ნ ბეკხანოვისას და ბ-ნს თხორჟევსკის. წიგნს დართული ექმნება ძეგლზე გამოხატული ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიუსტი. ამ წიგნის წმინდა შემოსავლით ძეგლი უნდა დაუდგან განსვენებულ პოეტს დიდუბის ეკლესიის გალავანში. ძეგლი უკვე მზად არის და დაუდგამენ ამა წლის 9 ოქტომბერს, მის გარდაცვალებიდან 60 წლის შესრულების დღეს.

✦ ცნობილი მღვდელი გოროდცევი, ექსარხოსის განკარგულებით, ეპარქიალურ სასწავლებლის ინსპექტორობის თანამდებობიდან **დათხოვნილ იქმნა.**

✦ 24 აგვისტოს სოფ. ოძისის ახლო ბოქაული კობიაშვილისათვის, როცა იგი ცხენით მიდიოდა, ვიღაცას **თოფი უსროლია.** მომკვდარა ცხენი, ხოლო თვითონ ბოქაული გადარჩენილა.

✦ **ბაქოდან შემდეგი ოფიციალური დეპეშა მოვიდა:** „მორიგება ვერ მოხერხდა ცეცხლის წაკიდება და ძარცვა-გლეჯა გრძელდება. ადმინისტრაცია ქარხნებში უმოქმედოდ არის, ბრძანებანი არ სრულდება. გენერალ-გუბერნატორმა ფადეევმა სასტიკი ზომები მიიღო. გადაყენებულ იქმნა ქარხნებში ჩაყენებულ გარნიზონის უფროსი ოდიშელიძე. ახლად მოსულმა ჯარმა გაანთავისუფლა ბალახანაში დატყვევებული სომხობა. ნაბრძანებია სოფლელთა გაჟლეტა, ჩაყენებულ იქმნა ეგზეკუცია სოფლად მოკლულ თათართა რიცხვი 500 უდრის, სომეხთა 50-ს. ქალაქში მოკლულ თათართა რიცხვი 150, სომეხთა 30“.

✦ გუშინ, 26 აგვისტოს, სამრევლო სკოლების საოლქო საბჭოს დარბაზში, ეპისკ. ექვთიმეს თავმჯდომარეობით, **მოხდა კრება** „საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მოამბის“ მიმართულების შეცვლის შესახებ. კრებას დაესწრნენ სემინარიის რექტორი, ინსპექტორი, არქიმანდრიტი გიორგი, დეკანოზი მ. ტყემალაძე, სემინარიის მასწავლებლები ვ. ვ. ივანოვი, ი. ი. ფერაძე, მღვ. კ. ცინცაძე და სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ა. ი. ნატროშვილი. კრებას მოხსენდა განსაკუთრებული აზრი ამაღლების ეკლესიის მღვდლის ილ. ჯაშისა, რომელიც კრებას არ დაესწრო. მ. ჯაშის აზრით, ეს ორგანო უნდა გადაეცეს სამღვდელოებას, რომელიც ინახავს ამ ორგანოს და საქმის მოწყობა ჯერჯერობით ჩაბარდეს იმ კომისიას, რომელიც მოწვეული იყო 22 აგვისტოს ექსარხოსთან და რომელსაც მსჯელობა ჰქონდა სამღვდელოებისა და ეპარქიის საჭიროებაზე.

✦ მაზრის მეთვალყურეთა კრებამ გუშინ, 26 აგვისტოს, განიხილა საგნების სასწავლო პლანები ერთ-კლასიან და ორ-კლასიან ტაძრის სკოლებისა. ერთ-კლასიან სკოლებისათვის შემდეგი პროგრამა დაინიშნა: სამღთო სჯული—4 გაკვეთილი, დედა-ენა—7 გაკვეთილი, რუსული ენა—7 გაკვეთილი, ანგარიში—4 გაკვეთილი, გალობა—2 გაკვეთილი ჰიგიენა 1 გაკვეთილი. ორ-კლასიან სკოლებისათვის: საეკლესიო ისტორია, სამშობლოსი და რუსეთისა 3 გაკვეთილი, დედა-ენა—5 გაკვეთილი, რუსული ენა—6 გაკვეთილი, განხილვა მათემატიკურ, ფიზიკურ, პოლიტიკურ გეოგრაფიისა და გეოგრაფია რუსეთისა—2 გაკვეთილი, საზოგადო სამოქალაქო ისტორია სამშობლოსი და რუსეთისა—2 გაკვეთილი, ჰიგიენა—3 გაკვეთილი, გალობა—2 გაკვეთილი. ამ პროგრამის განსახილველად არჩეულ იქმნა კომისიები: სამღთო სჯულისა: კ. ცინცაძის თავმჯდომარეობით, ანგარიშისა, ხატვა-ხაზვისა, გეოგრაფიისა, ისტორიისა და ბუნების-მეტყველებისა—ა. ი. ნატროშვილი, სამშობლო ენებისა—ი. ი. ფერაძე და პ. მ. კორხანიძე, რუსულ ენისა—პ. მ. კორხანიძე და ცვეტნიცკი. ეს თავმჯდომარენი წევრებად იწვევენ იმათ, ვისაც თვითონ საჭიროდ დაინახავენ.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოძრაობის უფროსმა განკარგულება მოახდინა ბაქოს მხრისაკენ მდებარე სადგურზე ახალ განკარგულებამდე 25 აგვისტოდან ბარგით დატვირთული ვაგონები გააჩერეს დიდ სადგურებზე, რადგანაც ბაქოში დიდი არეულობაა და სადგურზედაც ადგილი არ არის.

✦ რადგანაც ბაქოდან ნავთი ველარ გამოაქვთ, ტფილისში ნავთის ფასმა ძალიან აიწია. 25 აგვისტოს ფუთი ნავთი ორ მანათი იყო.

ბაქოს ამბები

აგერ, ეს სამი დღე და ღამეა, რაც ბალახანა, რომანას მიდამოებს ცეცხლი უკიდია. თათრებმა სომხების სამრეწველოებს მისცეს ცეცხლი, სომხებმა თათრებისას. იწვის მთელი ბალახანა, იდაგება საბუნჩა, ალშია გახვეული რომანა და ბოლბალა, მუსრი ევლება სიმდიდრეს.

აგერ სკდება ნავთის შესანახავი ქვაბები, აგერ ბელლები, ძლიერი ქარი ჰქრის, ცეცხლი ერთი ადგილიდან მეორე ადგილს გადააქვს; ქვა, რკინა, ხე და სილა ერთმანერთში დუღს. თან საშინელი კვამლია ყველგან დამდგარი. თვალში თითს ვერ მიიტანთ, ორ ნაბიჯზე კაცს ვერ გაარჩევთ.

თოფ-დამბაჩების სროლა, დაფეთებულ ადამიანის წივილ-კივილი, მოთქმა-ცრემლები აორკეცებს ამ საშინელ სურათს.

საბუნჩის რკინის გზის სადგური სხვადასხვა ხალხითაა სავსე: ზოგი სკამს მოათრევს, ზოგი სუფრას, ზოგი ლოგინს და ზოგი კიდევ რას. უნდათ გაიქცნენ, სადმე თავი შეაფარონ. სადგურზე რომ ვერ ასწრებენ დასხდომას, ხშირად პოლიციის სამართველოს ახლო აჩერებენ მატარებელს და იქ ჯდებიან. მატარებლები კუპატსავითაა გატენილი ხალხით. მათში ხშირად შეხვდებით ტიტველა ბავშვებს, ნახევრად შიშველ კაცსა და ქალებს. მათი მდგომარეობა აუწერელია...

თვით ბაქოელთა მდგომარეობა ბევრად უფრო კარგია. აქ ცეცხლით ჯერ ბევრი არავინ დაშავებულა. დაიწვა ნიკიტინის ცირკის გვერდით შეშის საწყობი, ნიკიტინის ცირკის შენობა და ორიოდე კიდევ სხვა შენობა...

თანაც ქალაქი ორ ნაწილადაა გაყოფილი. ერთი თათრების ხელშია, მეორე სომხებისაში. შუაში ჯარები დგანან და ერთმანერთზე არ უშვებენ. ქალაქის გარშემოც ჯარებია შემორტყმული და არც აქედგან შეიძლება შემოსვლა. პირველსა და მეორე დღეს რაც არ დაიხოცნენ, შემდეგ მკვლელობა იშვიათია... ქუჩებში ყველგან ჯარის კაცებიც დადიან. ქალაქის მაღლობებზედ ორგან ზარბაზნებია გადმოდგმული... ჯარის კაცებს ნაბრძანები აქვსთ: თუ ვინმე სახლის აივანიდგან, ან ფანჯრიდგან, ან სახურავიდგან თოფი გამოისროლოს, მოჰკლითო...

ბალახანაში და მის მიდამო ადგილებშიც არიან ჯარები, მაგრამ იგინი აქ სასურველ მიზანს ვერ აღწევენ. აქ რომ კაცმა კაცს უშველოს, საჭიროა ყოველ ნაბიჯზედ, ყოველ „ვიშკასთან“ დარაჯი დააყენოთ. ამდენი ჯარი კი აქ სად არის?

დღეს 500-მდე ჯარის კაცი მოვიდა ტფილისიდგან, ამდენსაც ელიან კიდევ, მაგრამ რა?.. სანამ პეტრე მოვიდოდეს, პავლეს ტყავი გააძვრესო—ხომ გაგიგონიათ!. ერთი-ორი დღე კიდევ ასე და ქვა-ქვაზე დაღუღდება, აღარაფერი აღარ დარჩება. ამასთანავე, თვითონ რომ არ ებრალებათ თავის თავი, ჯარებმა რა უშველონ?

უმეტეს ნაწილად სომხები და თათრებია დახოცილი. აქა-იქ სხვა ტომისანიც მოჰკლეს. (მაგალითად: ქართველები, ნემეცები, რუსები და სხვა). ორთავე მხარე დიდ სიმხეცეს იჩენს. ხშირად წააწყდებით ყურებ დაჭრილ და ცხვირ ჩამოთლილ გვამებს... ერთი „ამბალი“ (სპარსელი) მოეკლათ, ყურები დაეჭრათ და შემდეგ ერთ ყურში აბაზიანი ჩაედვათ..

არის რამდენიმე ჯარის კაციც მოკლული...

ბალახანაში და ჩამანში სომხების უმეტესობამ თავი შეაფარა საავადმყოფოში და სკოლის შენობაში და აქედგან ისროდნენ თოფებს.

გუშინ ორი ზარბაზანი და ჯარი გაგზავნეს ბაქოდგან საბუნჩაში. დღეს ჯარის უფროსმა მოსთხოვა ბალახანის სკოლაში თავ-შეფარებულ სომხებს იარაღის დაყრა, მაგრამ მათ არ შეასრულეს და ჯარის კაცებს თოფებს ესროდნენ, ამის გამო ამ შენობას ზარბაზნები დაუშინეს. მაშინ სომხები შეშინდნენ და იარაღი ჯარს გადასცეს... ნამდვილი ომი, ნამდვილი პორტ-არტურია!..

ბალახანის საავადმყოფოს გარშემო ცეცხლი მძვინვარებს, მალე საავადმყოფოსაც მოედება...

დღეს, საღამოს, ბაქოს ქუჩებში ჩამოიარეს პოლიციელებმა და ორიოდე გავლენიანმა სომეხ-თათარმა. შერიგებას ახდენდნენ, სომხობა ძალიან ცივად მიეგება მათ და იძახოდნენ: „რის ზავი, რის შერიგება?!. მილიონები დაგვეღუპა, ბალახანაში ავადმყოფები იწვისო“!.. ვნახოთ, მომავალი დღეები რას მოგვიტანსო!.

ვისაც დრო და გარემოება ნებას აძლევს, ბაქოდანაც გარბის. ბევრი რკინის გზის ბილეთს ვერ შოულობს და უბილეთოდ მიდიან... ქალაქში ორიოდე დუქნის გარდა ყველა დაკეტილია. ხორცი გირვანქა აბაზია, მალე სულაც აღარ იქმნება. პურიც ძალიან გაძვირდა. კიდევ ორიოდე დღეს თუ გასტანა ამ მდგომარეობამ, სიმშილით დავიხოცებით.

ვ. მაჭავარიანი

პეტერბურგი. „ბირჟ. ვედ.“ იუწყება: „21 აგვისტოს, ნობელის ფირმის გამგეობამ პეტ-

---

ჯარებს ისე, რომ მას უკან დახევის საშუალებაც აღარ ექმნება.

მდინარეზე მტრის მოგერება.

მდინარე შეიძლება გამოიყენოს ადამიანმა მტრის პასსიურ თუ აქტიურ მოსაგერებლად.

უფროსი ხელმძღვანელი პასსიურ მოგერებას თუ გადასწყვეტს, მაშინ მთელი მისი რაზმი ერთ ნაპირას საომარ წესს იღებს, ანგრევს ხიდებს, აფუჭებს ფონებს ორმოების ამოთხრით ან წყალში რუების გათხრით და ამნაირად მდინარეს თავის და მტრის შუა ზღუდედ ხდის.

მდინარეს ამნაირ გამოყენებით მისი ნაკლი და ღირსება ორივე მებრძოლ მხარესათვის თანასწორი ხდება. მას ეფარება ორივე მხარე, ზედამსხმელი ჩერდება, მაგრამ მომგერებელმა თავის მხრივ, ზედამსხმელ ჯარის თავდასხმა თუ მოინდომა, მაშინ მდინარე მასვე აჩერებს და მოპირდაპირეს ჰფარავს მისგან.

აქტიურ მოგერების დროს, მომგერებელი ჯარი ორივე ნაპირებს იჭერს. მისი მომეტებული ნაწილი მდინარის ერთ ნაპირზეა გაჩერებული, რომ ამით უზრუნველჰყოს წინ, მეორე ნაპირას მქონე ჯარის ზურგი,—უმცირესი ნაწილი კი მდინარეს გადაღმა გადადის მტრის შესახვედრად. ამნაირ შემთხვევაში მომგერებელმა ჯარმა ყოველთვის თვითონვე უნდა იკისროს მტერზე თავდასხმა, თუმცა, რასაკვირველია, მუდმივი და ახალი ხიდები და ფონები მტრისაგან უთუოდ უნდა იყოს დაცული. ამისთვის ხიდების თავებში სიმაგრეებს აგებენ, რომელთაც **ტეტ დე-პონები** ან ხიდის სიმაგრეები ერქმევა, ამ სიმაგრეებში სამყოფი ჯარი ჩერდება, რომელიც წინ გზავნის მაძიებელთა გუნდებს. იმის და მიხედვით ერთსა თუ ორივე მხარედან მოველით თავდასხმას, ტეტ დე-პონიც შეიძლება ერთი ან ორი აშენდეს, ხიდის ორივე თავში. ყოველ შემთხვევაში ჩვენს ნაპირზე ტეტ-დე-პონის აგება მას მეტად ამაგრებს და მოგერების ძალასაც უმატებს.

როგორ უნდა იდგეს ჯარი, როდესაც მდინარეს მოსაგერებლად ვუყენებთ? ჯარის განაწილებას და თავის ადგილებზე დადგომას წინ მიუძღვის ყოველთვის რეკოგნოსციროვკა, ან მდინარის და მის ნაპირების დათვალიერება და გაცნობა. დათვალიერებულ უნდა იქმნეს მდინარეს ნაპარები, ხიდები, ფონები. უნდა იცოდეს ჯარის ხელმძღვანელმა, რამდენ ტოტად იყოფა მდინარე, არის ზედ კუნძულები თუ არა, არის გზები, რომელიც წყალზე გადადის... უნდა შეისწავლოს აგრეთვე მიდამოც ორთავე ნაპირას 2000—3000 ლაჯზე მაინც. პასსიურ მოგერების დროს, ყველგან, სადაც მდინარესთან მტრის გამოჩენა მოსალოდნელია, იმდენად ძლიერი გუნდები უნდა იგზავნებოდეს, რომ მიშველებამდის მტრის შეყენება შეიძლონ. ეს გუნდები პირველ მომგერებელ-დამზვერავ ხაზს შეადგენენ. ეს გუნდები წინ კიდევ თავიანთ ყარაულებს გზავნიან, ან საჭიროების დროს მორიგ ნაწილებსაც. გუნდებს შუა დარჩენილ მანძილს ცხენოსნები ყარაულობენ და ამასთანავე გუნდებს ერთმანეთში აკავშირებენ. თუ დიდი ადგილის დაჭერა არის საჭირო მდინარის ნაპირზე, იქ, სადაც ბევრი გზებია,—მაშინ ეს ნაპირი ნაწილ-ნაწილად იყოფა და ყოველ ნაწილს უკან კერძო მაშველი გუნდები უდგია, რომელნიც მეორე ხაზს შეადგენენ. ამ ჯარებს უკან კიდევ დიდმნიშვნელოვან გზებზე დგება უმთავრესი ძალა—საზოგადო მაშველი.

აქტიურ მოგერების დროს მომგერებელ-დამზვერავი გუნდები და ზოგან კერძო მაშველი ჯარიც შეიძლება მეორე ნაპირზედაც გადავიდეს. ამ შემთხვევაში კერძო მაშველი ჯარი ტეტ დე-პონს დაიჭერს. ყოველ შემთხვევაში იმ ნაპირების დაზვერა, საიდანაც მტრის მოსვლას ველით, გულდასმით უნდა ხდებოდეს, ვინაიდან მაშინ ადრევე შევიტყობთ, რას აპირობს მტერი, და ამის მიხედვით შესაფერად წინ დავუხვდებით. ძიებას ხელს უწყობს მდინარეზე აქტიური მოგერება და ამით აიხსნება, რომ აქტიურ მოგერების დროს, ადვილად შეიძლება მდინარის ნაპირი დიდ მანძილზე დაიჭირო და, მოგერების დროს, გამარჯვებული დარჩე. პასსიურ მოგერების ნაკლი ამ მხრივ შეიძლება იმით შევავსოთ, რომ მტრისკენ ცხენოსან გუნდებს გავგზავნით და, მათი უკუ ქცევა და ჩვენ ნაპირზე გადმოსვლა უზრუნველყოფილი რომ იქმნეს, სადმე ერთ ფონს ვტოვებთ გაუფუჭებელს, ან ადვილად დასანგრევ სუსტ ხიდს. რაკი ცხენოსანი ჩვენ ნაპირას გადმოვა, მაშინვე ფონს გავაფუჭებთ და ხიდსაც ადვილად დავანგრევთ.

მოსაგერებელ ძალის მოსამატებლად მდინარეს ყოველ მნიშვნელოვან ადგილს მოსაგერებლად ამზადებს ჯარი: სანგრებს თხრის, სიმაგრეებს აწყობს, ადგილობრივ და გადასატან ხეების ჩახერგვას აჩერებს, ორმოებს სთხრის, პალოებს არჭობს, მავთულებს აბამს და სხვა და სხვა. რამე ნიშნებით აკავშირებს მოსაგერებელ ხაზსა (ცეცხლებით, ტელეგრაფით). ადგილობრივ მცხოვრებლებს პოულობს, რომელიც ატყობინებს ყოველთვის, რაც მეორე ნაპირზე ხდება. ასწორებს და აკეთებს მდინარის გასწვრივ მიმავალ გზებს, რომელიც მისთვის ამ შემთხვევაში მეტად გამოსაყენებელია, და სხ.

ამნაირად გამაგრებულ მდინარის გადასვლა მეტად ძნელია. ამ შემთხვევაში მტერი რამე ხრიკით მომგერებლის მოტყუილებას ეცდება უთუოდ. ეს ხრიკები ასეთია ხოლმე:

მტერი თავის ჯარს ერთ ადგილას მიიყვანს, სროლას ასტეხს და თითქო წყალში გასასვლელად მოემზადება, ე. ი. მოსაჩვენებელ ცდას ან დემონსტრაციას მოახდენს. მომგერებელიც, რასაკვირველია, აქეთ მოუყრის თავს თავის ჯარებსაც, მაგრამ ამით სხვა ადგილს ძალიან არ უნდა შესუსტდეს. ამასთან დღე და ღამე მომგერებელმა დიდი თვალყური უნდა ადევნოს მეორე ნაპირს, რომ მტერი სხვა გზით არ გადმოიპაროს.

მტერი სამყოფი ჯარით თუ გადმოვიდა ჩვენს ნაპირზე და საკმარისი ძალა თუ შევგწევს, უნდა მოვიგერიოთ იგი და მტერს შევუტიოთ, რომ წყლისაკენ დავახევინოთ.

მტრისაგან მოწყობილ ჯარის გადმოსაყვან ხიდების, ან პონტონების გასაფუჭებლად შეიძლება წყალში ჩავყაროთ ჩირგვები, ხეები, დატვირთული ნავები და სხვ. საჩქაროდ აშენებული ხიდი ამათ დატაკებას ხშირად ვერ უძლებს...

როგორ იმოქმედებს ზედამსხმელი მტერი გამაგრებულ მდინარეზე?

მდინარეზე ყველა გასასვლელი საშუალება თუ მოსპობილია და მეორე ნაპირი მომგერებელთაგან დაჭერილი თუ არის, მაშინ ზედამსხმელი მდინარეს ნაპირისაგან 10—12 ვერსის სიშორეზე გაჩერდება, წინ მდინარისაკენ ქვეითი ჯარს გაგზავნის და არტილერიას და ძლიერ ცხენოსან ნაწილებს. ამათი დანიშნულება ის არის, რომ თავიანთი ნაპირი მთლად გასწმინდონ მოპირდაპირე ჯარის მაძიებელთა და მზვერავთაგან და თვითონ დააყენონ ყველგან მზვერავები, რომ მეორე ნაპირიდან ვერც ერთი კაცი შეუმჩნევლად ვერ გადმოვიდეს. ესენი აგროვებენ ამასთანავე მთელ იმ მასალასაც, რომელიც გამოდგება გასავლების გასაკეთებლად. ეს მოწინავე რაზმები მოფარებულ ადგილებში დგებიან და მდინარის ნაპირისაკენ აყენებენ ყარაულებს და მზვერავებს.

ამის შემდეგ ზედამსხმელნი რეკოგნოსციროვკას შეუდგებიან და ამოირჩევენ იმ ადგილს, სადაც უნდა მოხდეს უმთავრესი გადასვლა. ეს ადგილი სტრატეგიულის მხრივ მოსაწონი იქნება, თუ იგი ჯარის მიავალ გზასთან ახლოა. ტაქტიკის მხრივ კი ის ადგილი არის ასარჩევი, რომელიც გადასვლას ხელს უწყობს და შესაძლებლად ხდის ჯარი მალე და ნაკლების დანაკლისით გადავიდეს. რაკი გადასასვლელი ადგილი არჩეულია, ხიდების გასაკეთებელ მასალის შეგროვებას შეუდგებიან.

ამ მასალის მოგროვება, გადასასვლელ ადგილის არჩევა და ხიდის კეთება დიდ საიდუმლოებით უნდა ხდებოდეს და ჯარის გადასვლა მეორე ნაპირზე ერთბაშად უნდა იყოს. მოპირდაპირის დაუდევრობის იმედი თუ არა აქვს ზედამსხმელს,—მოვალეა შეცდომაში შეიყვანოს მომგერებელი და საამისოდ აქა იქ ხელოვნურად უნდა მოაწყოს აქ-იქ დემონსტრაცია.

გადასასვლელად ისეთი დრო აირჩევა ყოველთვის, როდესაც მომგერებელს ნაკლებად შეუძლია იმის დანახვა, რაც მეორე ნაპირას ხდება, მაგ., ღამე, ან ბურუსიან დღეს. რაც უნდა პატარა ნაწილი გადავიდეს, მაინც მაშინვე მოსაგერებლად ემზადება და სანგრებს ითხრის. მათ შველის არტილერია, რომელიც პოზიციაზე დგას და მომგერებელთ მოსვენებას არ აძლევს.

ყოველი ახალი ნაწილი, რომელიც მეორე ნაპირას გადავა, ვალდებულია ცოტათი მაინც წინ წაიწიოს და, რაც შეიძლება, ნაპირის ფართო ადგილი ჩაიგდოს ხელში. საუკეთესოა თუ პირველშივე ერთი-ორი სამთო ზარბაზანი გადაიტანეს. ხალხი შეუწყვეტლივ უნდა გადადიოდეს. ახლად გაკეთებულ ხიდების დანგრევისაგან დასაფარავად წყალში ერთი ვერსით ზევით ნავებით დგებიან და იჭერენ ყველაფერს, რასაც ხიდების გაფუჭება შეუძლია. ხიდების თავებში ხელად ტეტ დე-პონებს აგებენ განიერ გასავლებით, რომ ჯარი თავისუფლად გაიპაროს, როგორც გადასვლის დროს, ისე მაშინაც, თუ ვინიცობაა მისთვის უკუქცევა შეიქმნა საჭირო.

მთის მდინარე დიდი და ღრმა არაოდეს არ არის, მაგრამ მას იმდენად ჩქარი და მძლავრი დენა აქვს, რომ კაცს ჩასჩეხავს მუხლამდისაც რომ წვდებოდეს წყალი, ხიდების გაკეთებაც ამნაირ მდინარეზე ძნელია და მხოლოდ ისევ ვიწრო ადგილას შეიძლება, სადაც ხიდს ბოძების შედგმა არ დასჭირდება და ხიდის თავები ნაპირიდან ნაპირამდის გასწვდება.

მთის მდინარეების ასეთმა თვისებამ ჩვენში თავისებური ხიდის ტიპი შეიმუშავა, რომელსაც კავკასიურ ხიდს ეძახიან ფორტიფიკაციაში. ასეთ ხიდებს ხშირად შევხვდებით მთებში.

მთის მდინარეს კალაპოტი სავსეა ქვებით და მისი გატოპვა, ან ცხენით გადასვლა იშვიათად თუ არის სადმე შესაძლო. ისეთი ფონებიც ძნელი მოსანახია, რომ ლოდები არ ეწყოს და, თუ მოინახება აქა-იქ, ადგილობრივ მცხოვრებთა მეკადინეობით ყოველ ზაფხულობით კეთდება. საკმარისია ერთხელ მოვიდეს წვიმა, რომ ის ადგილი ახალ ლოდებით აივსოს და გზაც შეიკრას.

მთიან ადგილებში წყლის ნაპირები უფსკრულს წარმოადგენენ, აქა-იქ თუ არის ჩასასვლელი ადგილი, ისიც გზად გამოუსადეგარია.

მთის წყლების თვისებები მომგერებელთათვის მეტად ხელსაყრელია. ეს წყლები ხშირად ხდება ზედამსხმელს და მალ მალეც აყენებს. მართალია, სივიწროვისა გამო, ეს წყლები მოსაგერებელ ზღუდედ ვერ გამოდგებიან, მაგრამ ზედამსხმელისათვის ამ მდინარეების გადასვლა ყოველთვის მეტად სახიფათოა. მომგერებელმა შეიძლება შორიდან დაუწყოს სროლა მომდინარე ჯარს და მდინარეს ნაპირამდის არივ-დარიოს იგი და შესამჩნევი ზიანიც მიაყენოს. აქა-იქ ფონი თუ მოინახა,—ისეთი ვიწროა ყოველთვის, რომ რეგულიარ ჯარს გადასასვლელად დიდი დრო დასჭირდება. ძალაუნებურად უნდა გაიფანტოს, გამწკრივდეს და ამ დროს მის დროებით სისუსტით ადვილად შეიძლება ისარგებლოს მომგერებელმა.

სამხედრო კაცი

ბურგში მიიღო დეპეშა, რომ, თუმცა ბაქოში სროლა შესწყდა, მაგრამ იმ ადგილებში, სადაც სროლა ისევ ისმის, 22 აგვისტოს მუშაობა შესწყდა. ბიბი-ეიბათში და შავს ქალაქში მშვიდობიანობაა. დაიწვა ქარხნები: შიბაევისა, ტაგიევისა, თუმანოვისა, კრასილნიკოვისა, ფითოევისა, მანთაშევისა, კასპიის და ტფილისის ამხანაგობებისა და ნობელისა. ბაქოდან ნობელის გამგეობას შეატყობინეს, რომ ქარხნების დასაცავად ჯარი არა კმარაო. 23 აგვისტოს საშინელი სროლა ისმოდა. ცეცხლი ისევ გაჩნდა. ბიბი-ეიბათში გადასწვეს ნავთის ქარხნები: მილოვისა, ზუბალოვისა, მანთაშევისა და როტშილდისა. შავს ქალაქში კასპიის საზოგადოების რეზერვუარი გადასწვეს. ბაქოში შეშის სიწყობები გადაიწვა. რადგანაც ნავთის ქარხნებს ცეცხლი ძლიან მოედო, ჯარი იძულებული გახდა თავი დაენებებინა.

რუსეთის ლიბერალები და სახელმწიფო სათათბირო.

გამოცხადდა თუ არა სახელმწიფო სათათბიროს დებულება, სხვადასხვა პარტიებმა თავისი აზრი გამოსთქვეს ამ დებულების შესახებ. უმეტესობა, რასაკვირველია, გულგრილად მიეგება მას და პირდაპირ აღიარა, რომ თუმცა სათათბიროს დაარსება პირველი გამარჯვებაა გამანთავისუფლებელ მოძრაობისა, მაგრამ იგი მაინც ვერ დაგვაკმაყოფილებსო. ზოგმა გადაჭრით განაცხადა, რომ ამ სათათბიროში მონაწილეობის მიღება სულმოკლეობა და კომპრომისი იქნება და ამიტომ რუსეთის პროგრესიულმა საზოგადოებამ არჩევნებში მონაწილეობა არ უნდა მიიღოსო. ამას ქადაგებენ უკიდურესი მემარცხენენი და რადიკალები, ლიბერალები და ერობის პარტია კი აცხადებს, თუმცა სათათბირო არც ჩვენ გვაკმაყოფილებს, მაგრამ მაგით უდა ვისარგებლოთ და სათათბირო ჩვენის მიზნის ხელისშემწყო იარაღად უნდა გადავაქციოთო. საინტერესოა, თუ რა აზრისაა ამ საკითხის შესახებ რუსეთის ლიბერალთა პარტია, რომელსაც თავის ორგანოდ მოსკოვის გაზეთი „რუსკია ვედომოსტი" აქვს დასახული.

„სახელმწიფო სათათბიროს დაარსებას რუსეთის საზოგადოება მეტად გულგრილად მიეგება, —სწერს ზემოხსენებული გაზეთი. მიზეზი ყველასათვის ცხადია: 6 აგვისტოს კანონს ათასი მნიშვნელოვანი ნაკლი აქვს და საზოგადოებასაც მით არავითარი მოქალაქობრივი უფლება არ მიეცა: არც თავისუფლება ბეჭვდისა, არც სიტყვისა, არც კრებისა და არც პიროვნების ხელუხლებლობა. რუსეთის ხალხმა დიდი ხანია გამოსთქვა თავის სურვილი, მაგრამ ბიუროკრატიამ ყურიც არ უგდო. სათათბიროში არავითარ მონაწილეობას არ იღებს ხალხის უმეტესობა, ხოლო მისი მოქალაქობრივი უფლება არა თუ არ გააფართოვეს, პირიქით, 6 აგვისტოს კანონით შეზღუდეს კიდეც. ამის შემდეგ ცხადია, რომ ხალხი ხმას არ ჩაიკმენდავს და არ დამშვიდდება.

ბრძოლა რუსეთის განახლებისთვის ჯერ არ გათავებულა. მართალია, უკანასკნელ ხანებში საზოგადოებამ ცოტათი გაიმარჯვა, მაგრამ უმთავრესი ჯერ არ არის შესრულებული, პოლიტიკური თავისუფლება ჯერ არ არის მოპოვებული, არ არის აღებული. ხალხსა და ამ თავისუფლების შუა ჩამდგარია ბიუროკრატიული სიმაგრე, რომელიც ჯერ კიდევ ასაღებია. შეიცვალა მხოლოდ პირობები ბრძოლისა. რუსეთის საზოგადოების ერთი ნაწილი არაფერად აგდებს სახელმწიფო სათათბიროს და არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს მას. ესენი ამბობენ, რომ პროგრესიული ელემენტები ახლო არ უნდა მიეკარნენ სათათბიროს, რადგან ამ სათათბიროში მონაწილეობის მიღება, იმის (სათათბიროს) განმტკიცებას ნიშნავს, ეს კი ხელს უშლის არსებულ წესწყობილების დანგრევას და ახლის აშენებასო. ჩვენ ვერ მივემხრობით ამ პოლიტიკას, —აცხადებს «რუს. ვედ."-ის რედაქცია, —რადგან, ეს ჩვენივე ხელით ჩვენი დამარცხება იქნება, ამით ჩვენ მხოლოდ ხელს შევუწყობთ იმათ, ვინც ჩვენის პოლიტიკურ განთავისუფლების წინააღმდეგია. ჩვენ პირდაპირ უნდა აღვიაროთ, რომ სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტს ვერ გამოვუცხადებთ და ვერც არჩევნებს შევუშლით ხელს, ჩვენ საამისო ძალა არა გვაქვს. ჩვენის ბოიკოტით ისარგებლებენ მხოლოდ რეაქციონერები, რომელნიც მთელ სათათბიროს გაავსებენ, შეჯგუფდებიან და ბიუროკრატიას ამოუდგებიან მხარში. ამ შემთხვევაში ბიუროკრატია ყველაზე მეტს მოიგებს: დღეს იგი მოკლებულია ზნეობრივ ძალას, ხალხის თანაგრძნობას, მაშინ კი ის მშვენივრად ისარგებლებს სათათბიროს ავტორიტეტით და განაცხადებს: საზოგადოებრივი აზრი მე თანამიგრძნობსო.

უარის თქმა სათათბიროში დეპუტატების გაგზავნაზე უდიდესი პოლიტიკური შეცდომა იქნება ჩვენის მხრით. პირიქით ჩვენ მთელი ძალ-ღონე უნდა მოვიკრიბოთ და სათათბიროში რაც შეიძლება მეტი ისეთი დეპუტატი გავგზავნოთ, რომელნიც რუსეთის განთავისუფლების მომხრენი იქნებიან და ამით სახელმწიფო სათათბირო გამანთავისუფლებელ მოძრაობის ახალ იარაღად გადავაქციოთო.

რუსეთი

◆ იმავე გაზეთს ვარშავიდან დეპეშით ატყობინებენ: რომანინის მაზრის **ათი სოფელი აჯანყდა** და იარაღით დაერია ქურდბაცაცა მცარცველებს. დახვრეს 50 და მოჰკლეს 11 ქურდი. ვარშავაში დააპატიმრეს „ბუნდ"-ის სარევოლუციო პარტიის მრავალი წევრი და ხელთ იგდეს მათი კორესპონდენცია, რომლიდანაც სჩანს, რომ ამ პარტიას ხელს უწყობდა ბევრი ინტელიგენტი და მდიდარი (რ. ს.).

◆ პეტერბურგში სევასტოპოლიდან და ლიბავიდან 3000 მატროსი მიუყვანიათ. **ეს მატროსები ივნისში მომხდარ არეულობაში მონაწილეობას იღებდნენ.** ყველანი მიხაილოვის მანეჟში შეაგროვეს. მალე მოვიდნენ უმაღლესი საზღვაო ბიუროკრატები და მატროსების დანაწილებას და დარჩევას შეუდგნენ, უმეტესობა მატროსებისა ჯარში ჩარიცხეს უბრალო სალდათებად. ამ მატროსებს შორეულ აღმოსავლეთისა და ციმბირის ციხეებში გაგზავნიან. დარჩევის დროს, ორი მატროსი გაიპარა: ბევრი ეძებეს, მაგრამ ველარ იპოვეს. ამ ცერემონიის დროს, მატროსებს გარს ერტყა ცხენოსანი და ქვეითა ჯარი (რ. ს.).

◆ გენერალმა **სტესელმა საჩივარი აღძრა სამხედრო კორესპონდენტის ნოჟინის წინააღმდეგ**, რომელიც ჯერ პორტ-არტურში იყო და მერე ჩიფუში გამოიქცა. ნოჟინს საიდუმლო რუქები და სურათები ჰქონდა. სტესელს მისი დაპატიმრება უნდოდა, მაგრამ ნოჟინი სამხედრო გემზე ავიდა და იქ შეაფარა თავი. მერე აფიცრის ფორმა გადაიცვა და ნაღმოსანს გაჰყვა ჩიფუში (რ. ს.).

◆ ივანოვო-ვოზნესენსკის გაფიცვის მეთაურები—100 კაცი **სამხედრო სამართალში მისცეს** (ნ.).

◆ 24 აგვისტოს პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ უნდა გაარჩიოს საქმე 12 კაცისა, რომელთაც იმპერატორის შეურაცხყოფა ბრალდებათ (რ.).

◆ 18 აგვისტოს პრივისლის რკინის გზაზე მეორე ხიდი **ააფეთქეს დინამიტით** (ნ. ჟ.).

◆ რუსეთის ქალაქებში ებრაელები ქალაქის საბჭოში **ხმოსნობაზე უარს ამბობენ.** მიზეზი ის არის, რომ მათი რიცხვი და საარჩევნო წესი მეტად შეზღუდულია. ახლა შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანება გამოსცა, თუ ებრაელმა უარი განაცხადა ხმოსნობაზე, იმას ალაგას ქრისტიანი აირჩიეთო (რ.).

◆ ვარშავის კერძო სასწავლებლების პატრონებმა ვარშავის სამოსწავლო ოლქის უფროსისგან მიწერილობა მიიღეს შესახებ იმისა, რომ საერო განათლების სამინისტრომ **ნება დართო,** რომ ვარშავის კერძო სასწავლებლებში ყველა საგნები, გარდა ისტორიისა და ანგარიშისა (!), პოლონურ ენაზე ისწავლებოდეს. ეს შეეხება მხოლოდ იმ სასწავლებლებს, რომელთაც სახაზინო სასწავლებლის უფლებები არა აქვთ. თუ პოლონურ ენაზე სწავლის შემოღება იმ სასწავლებლებსაც უნდათ, რომელთაც სახაზინო სასწავლებლის უფლებები აქვთ, იმათ განცხადება უნდა შემოიტანონ სამოსწავლო ოლქის უფროსის კანცელარიაში და ამ უფლებებზე უარი სთქვან (ს. ო.).

◆ პეტერბურგის სამხედრო ოლქის უფროსის ბრძანებით იმ სალდათებს, რომელთაც წრეულს სამსახურის ვადა უთავდებათ, ცალკე ბრძანების მოსვლამდის **არ გაანთავისუფლებენ სამსახურიდან** (ს. ო.).

◆ მოსკოვში შეკრებილან მექარხნეთა და მეფაბრიკეთა წარმომადგენელნი და დაუდგენიათ: რადგან ამჟამად **პრესსას უდიდესი მნიშვნელობა აქვს,** ამიტომ საჭიროა ჩვენც გავიჩინოთ ჩვენი გაზეთიო. გამოანგარიშებით გაზეთის გამოცემას დასჭირდება 375,000 მანათი, რომელიც პაიებით უნდა შეგროვდეს (ს. ო.).

ჩერეპოვეცის მაზრიდან ,,სინ ოტეჩესტვას', სწერენ: შარშან აქედან ერთი გაღატაკებული გლეხი პეტერბურგში წავიდა და იქ მეეზოვის ადგილი იშოვა. წრეულს კი უკანვე დაბრუნდა და ბევრი ფული მოიტანა. ძველი ვალები გაისტუმრა, ახალი ადგილი იყიდა და ვაჭრობა დაიწყო. თან მრავალი ნახმარი ტანისამოსი ჩამოიტანა. ცოლს ალმასის ბეჭდები და საყურეები ჰქონდა. როცა ჰკითხეს, როგორ გამდიდრდი და სად იშოვე ფულიო, მეეზოვემ უპასუხა, 9 იანვარს პეტერგურგში **დახოცილ ხალხს ვკრეფავდი** და იქ ვიშოვეო (ს. ო.).

◆ უმაღლესი ბრძანებით, განჯის გუბერნატორი **დათხოვნილ იქმნა** ამ თანამდებობიდანაც და სამსახურიდანაც (რ. ო.).

კორესპონდენცია

გურია. ვინ იცის, რამდენ ხრიკებს არ მიმართა ბიუროკრატიამ თავის არსებობის უკანასკნელ დროს, რომ რუსეთში როგორმე ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩაექრო. არც პატარა გურია დასტოვა ბიუროკრატიამ უყურადღებოდ. მაგრამ ამაოდ. ხალხი უკვე გათვითცნობიერებულია; ხალხმა უკვე შეიგნო, თუ ვინ არის მისი მტერი და მოყვარე. ჰორებს აჭარლებმა ყურადღება არ მიაქციეს და მიმართეს პირდაპირ გურულებს: «მოგვეცით ერთობის კაცი, ჩვენც გვინდა თქვენ შემოგიერთდეთ»-ო.

21 ივლისს, ხინოს ფთაზე მოხდა ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ ხინოსა და ჭვანის მაჰმადიანები, რიცხვით 150. ხალხი დიდის ყურადღებით უსმენდა ორატორს და დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა მათზე. ხალხმა ზიზღით მოიხსენია ძმათა შორის ბოროტების მთესველნი და „გაუმარჯოს ერთობას!" ყვირილით და თოფების გრიალ-გრიალით დაიშალა. ასეთივე შეთანხმება მოხდა გურიის სხვადასხვა ადგილებში, სადაც ცხოვრობენ მაჰმადიანები: გომის ფთაზე, ბახმაროს ელებზე, აჭში, ქაქუთში და სხვა. ერთი სიტყვით დღეს გურულ-აჭარლებშუა ნამდვილი ძმური და კეთილი განწყობილებაა.

ივნისის უკანასკნელ რიცხვებში ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი გორგასლიძე დადიოდა სოფელ-სოფელ მთავრობის მონდობილობით და ხალხს ახალ „მანიფესტს" უკითხავდა.—„სასწავლებელში ახლა კი ქართულ ენას შემოვიღებთ, გამოგზავნეთ ბავშვები და სწავლა განვაგრძოთო". დაახლოვებით ასე ელაპარაკებოდა ხალხს. ხალხი კრებაზე ცოტა ესწრებოდა და ვინც ესწრებოდა, ამის სიტყვებს გულ-გრილად ისმენდა.

გასულ კვირას რვა შეიარაღებული კაცი თავს დაესხა ჯუმათის მონასტერს და წაიღეს რამოდენიმე ათასი მანათის სხვადასხვა ნივთები. ხალხმა მიიღო ენერგიული ზომები და შეიპყრო ავაზაკები. ამ დღეებში მათ კიდეც გაასამართლებენ.

ვ. ქარცივაძე.

ღამის დეპეშები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

პეტერბურგი, 25 აგვისტო. „ნაშა ჟიზნ"-ი იუწყება, რომ პეტერბურგიდან ბაქოში იქაურ ამბების გასაცნობად რამდენიმე კაცი გაიგზავნაო.

,,რუს''-ი გადმოგვცემს: ერთს საქმის კარგად მცოდნე პირს ბაქოში მომხდარ ამბების გამოულაპარაკია და, სხვათაშორის, ის აზრიც გამოუთქვამს, რომ თუმცა ბაქოში მდგომარეობა ძალიან გამწვავებულია, მაგრამ მაინც იმას ვერ ვიფიქრებთ, რომ ნავთის წარმოება იქ სამუდამოდ დაიღუპაო. ფინანსთა მინისტრს კოკოვცევს ნავთის მწარმოებელთა დეპუტაცია მიუღია და დაჰპირებია, წესიერების აღსადგენად ენერგიულ ზომებს მივიღებთო.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 აგვისტო.

ნიუ-იორკი, 25 აგვისტო. კომურამ უარჰყო ის აზრი, ვითომც ტოკიოში მომხდარ არეულობას შეუძლიან მიკადოზე იმოქმედოს და საზავო ხელ-შეკრულობაზე უარი ათქმევინოს.

ტოკიო, 25 აგვისტო. გარნიზონის უფროსმა, გენერალმა საკუმამ გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც ურჩევს მცხოვრებლებს, წესიერება არ დაარღვიონ. იუწყებიან, რომ ჩიფუში არეულობა მოხდაო. ჩიფუ ტოკიოდან 20 მილის მანძილზე მდებარეობს. მთავრობამ შეაჩერა გამოცემა გაზეთ „ნაროკუ"-სი, რომელიც ტოკიოში გამოდის.

ტოკიო, 25 აგვისტო. (,,დეილი ტელეგრაფი''). სამშაბათს, საღამოთი, იაპონიის სხვადასხვა ნაწილების წარმომადგენელთა მიტინგი მოხდა. ამ მიტინგზე გადასწყვიტეს, საიდუმლო რჩევას და პარლამენტს პეტიციით მიმართონ და სთხოვონ, რომ საზავო ხელ-შეკრულობის რატიფიკაციაზე უარი განაცხადონ.

სიტიაზა, 25 აგვისტო. იაპონელები რუსების ზვერას განაგრძობენ, თუმცა ისეთივე სიძლიერით არა, როგორც წინად,

ტოკიო, 25 აგვისტო. გუშინ, დილით, ბრბომ კიდევ სცადა შეკრება, მაგრამ სალდათებმა დაუშალეს. წესიერების დაცვა ჯარსა და ჟანდარმებს მიენდო. საღამოს 9 საათიდან მიკადოს ბრძანებით ტოკიოში სამხედრო წესები შემოიღეს. საღამოთი არეულობა განახლდა. მთელ იმ რაიონს, სადაც „კოკუმინის"-ის რედაქცია იმყოფება, ჯარი იფარავს. ბრბო თყრთმეტ საპოლიციო უბანს დაეცა და გადასწვა. საღამოთი შუაგულ ქალაქში წესიერების დასაცველად საიმპერატორო გვარდია გაიგზავნა; სახელმწიფო დაწესებულებებს გარშემო ბარიკადებია გაკეთებული. ტრამვაის მიმოსვლა შეჩერდა. დაატუსაღეს 200 კაცი; ამათგან 80 კაცი შინაგან საქმეთა მინისტრის სახლზე დაცემისთვის შეიპყრეს.

შანჰაი, 25 აგვისტო. საშინელმა ნიაღვარმა მთელი პროვინცია გაანადგურია, დაღუპული სულ ექვს ათასამდე იქმნება.

სტამბოლი, 25 აგვისტო. ამერიკის ელჩმა პორტას წარუდგინა ულტიმატუმი და მოითხოვა, ის სომეხი, რომელსაც ოტტომანის სასამართლომ ოსმალეთის ქვეშევრდომ სომხის მოკვლისთვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, როგორც ამერიკის ქვეშევრდომი, მას გადასცეს.

სტამბოლი, 25 აგვისტო. გამოირკვა, რომ ადრიანოპოლში მომხდარ ამბების ჩამდენნი სომხის რევოლუციონერები ყოფილან. დაატუსაღეს ერთი ბულგარელი და ერთიც სომეხი, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი შეთქმულთა იმ წრეს ეკუთვნიან, რომელსაც აზრად ადრიანოპოლის, სმირნის და სალონიკის აფეთქება ჰქონდათ.

პეტერბურგი მთავრობამ, დიდი ხანია, ყურადღება მიაქცია უნივერსიტეტებისა და სხვა მაღალ სასწავლებლების უვარგის მდგომარეობას და 1901 წელს გამიზრახა ძირითადი ცვლილება მოეხდინა. სხვადასხვა დაწესებულებათაგან გაგზავნილ და განსაკუთრებულ კომისიებისაგან შეგროვილ ცნობებითა და მასალით საერო განათლების სამინისტროს მიეცა საშუალება დაეწყო მაღალ სასწავლებლების მოწყობის კანონ-პროექტის შედგენა და ეს კანონ-პროექტი დაეკავშირებინა საშუალო სკოლის გადაკეთებასთან. არეულობამ მაღალ სასწავლებლებში დაარწმუნა მთავრობა, რომ სკოლის რეფორმა, მეტადრე უნივერსიტეტისა, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს. ამიტომ საერო განათლების სამინისტრომ წარსულ ივნისში უმაღლესი ნებართვა ითხოვა კომისიის დასაარსებლად, რომელსაც, თვით მინისტრის თავმჯდომარეობით, კანონ-პროექტი უნდა შეემუშავებინა. კომისიამ თავისი შრომა ივნისშივე დაამთავრა და იმ აზრს დაადგა, რომ მაღალ-სასწავლებლებს სრული თვითმართველობა უნდა მიენიჭოს სასწავლებლის მოწყობა განმგებლობაში. უმაღლესის ბრძანებით, 7 აგვ. დაარსდა საგანგებო სათათბირო, ყველა უწყებათა უფროსებისაგან შემდგარი. ამ სათათბირომ თავისი მოვალეობა შეასრულა და დაადგინა—იშუამდგომლოს ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რათა საერო განათლების მინისტრს დაევალოს: 1, მიიღოს მხედველობაში პროფესორების კრებულთა აზრი და დაუყოვნებლივ დაამთავროს შედგენა საუნივერსიტეტო დებულებისა, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს პროფესორების კოლლეგიის რამოდენიმე დამოუკიდებლობა უნდა და კოლეგიას მიენიჭოს სასწავლებლის მართვა-გამგებლობაში და სწავლისა თუ შინაურ ცხოვრების მოწყობაში; 2, დაუყოვნებლივ შეიმუშაოს დროებითი წესდება მაღალ სასწავლებლების მართვა-გამგეობისა პროფესორთა კოლლეგიების მიერ და წარადგინოს იგი დასამტკიცებლად იმ წესით, რომელიც უმაღლესად ნაბძანები ექმნება.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

განცხადებანი

გამგეობა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ, თანახმად ბანკის წესდების მე 14 §-ისა, ამა 1905 წლის 28 სექტემბერს ბანკის სადგომში, ქ. ტფილისში, ფრეილინის ქუჩაზე, ქართველ თავად-აზნაურთა სახლში, მოხდება საჯარო ვაჭრობა ქვემოდ ჩამოთვლილ კაცთა უძრავ მამულებისა ბანკის ხვედრ გადასახადთა დროზე შეუტანლობისა გამო, რომელიც დადგენილია ბანკის წესდების 12, 17, 27, 28, და 36 §§-ის ძალით.

თუ პირველი ვაჭრობა არ შესდგა, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა, თანახმად ბანკის წესდების მე-20 §-ისა, მოხდება იმავე ბანკის გამგეობის სადგომში 1905 წლის 13 ოქტომბერს.

ვაჭრობა, თანახმად ბანკის წესდების მე-17 §-სა, დაიწყება გადუხდელად დარჩენილ თავნ ვალის ჯამიდან და მიემატება აქვე ნაჩვენები ბანკის მსესხებლებზედ დარჩენილი გარდასახადები და აგრეთვე საერობო და საქალაქო ბეგრის გარდასახადებიც.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, უნდა წარმოადგინოს ფულად ბე, რომელიც უნდა უდრიდეს ბანკის მსესხებლებზე დარჩენილ დარდასახადთა და იმ საერობო და საქალაქო ბეგრის დარჩენილ გარდასახადთა ჯამს, რომელიც ვაჭრობის დღეს აღმოჩნდება მამულზე.

გამყიდველი ვალდებულია დამტკიცების გარდასახადი და ვაჭრობაში წამატებული ფული ვაჭრობის დღიდან 14 დღის განმავლობაში წარმოადგინოს.

მყიდველს შეუძლიან თავნი ვალი თავის თავზე გადაიღოს და წინანდელ მამულის-მფლობლის ვალდებულებანიც თვითონ იკისროს.

თანახმად ბანკის წესდების მე-15 §-ისა, მამულის პატრონს შეუძლიან დარჩენილი გარდასახადი ვაჭრობის შემდეგ წარმოადგინოს და მამული საჯარო ვაჭრობიდან გაანთავისუფლოს.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიანთ გასინჯონ საჭირო ქაღალდები, რომელიც გასასყიდ მამულებს ეხება, საქმის დღით ბანკის კანცელარიაში.

ამასთან გამგეობა აცხადებს, რომ, თუ გასაყიდ მამულთა პირველი აღწერილობა ეხლანდელ მათ მდგომარეობას არ შეეფერება, ბანკი ამის გამო პასუხს არ აგებს.

ქ. ტფილისში.

კონიშევისა მარიამ ნიკოლოზის ასული: შენობები და მიწა, ზომა საბუთებით 35 ოთხკ. საჟ., ბანკის დაფასების საბუთით კი 68 ოთხკ. საჟ., ანუ რამდენიც გამოდგება, პრიუტის ქ. № 15, მეორე ნაწილში.

თავნი ვალი 7851 მ. 35 კ., შემოსატ. გარდ. 337 მ. 38 კ., სულ 8188 მ. 73 კ.

კოსტანდოვი კონსტანტინე ავეტის ძე: შენობანი და მიწა, ზომით 43,85 ოთხკ. საჟ., მე-10 ნაწ., ახალციხისა და კიროჩნის ქუჩის კუთხეში.

თავნი ვალი 1782 მ. 90 კ., შემოსატ. გარდ. 82 მ. 61 კ., სულ 1865 მ. 51 კ.

ფავლენოვისა თამარა ანტონის ასული: შენობანი და მიწა, ზომით 48,75 ოთხკ. საჟ., მე 9 ნაწ., მეორე თუმანოვის ქუჩა, № 6.

თავნი ვალი 1764 მ. 68 კ., შემოს. გარდ. 88 მ. 64 კ., სულ 1853 მ. 32 კ.

უთმელიძე ელისაბედ სიმონის ასული: შენობანი და მიწა ზომ. დოკუმენტებ. 165 ოთხ.კ საჟენამდე, შეფასებას აღწ. 200 ოთხ.კ. საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება, მე 9 ნაწ. სემენოვის ქუჩაზე.

თავნი ვალი 23233 მ. 46 კ., შემ. გად. 892 მ. 90 კ, სულ 24126 მ. 36 კ.

ხუციკოვი ავეტიკ ბალაბეკას ძე შენობანი და მიწა ზომით 130 ოთხ. ს. მე-6 ნაწ. კრწანისის ბაღებთან, ელიაზაროვის ქუჩაზე.

თავნ. ვალ. 4780 მ. 75 კ., შემ. გად. 193 მ. 96 კ., სულ 4974 მ. 71 კ.

ციციკოვი სოლომონი გერასიმეს ძე: შენობანი და მიწა, ზომ. 127,3 ოთხ. ს. მე-5 ნაწილში, ფომინის ქუჩა, № 10.

თავნი ვალი 15682 მ. 60 კ., შემ. გად. 605 მ. 98 კ., სულ 16288 მ. 58 კ.

ქალაქ ბაქოში.

ქერბალაი აბას-ალი მეშადი ყურბან ოღლი, შენობანი და მიწა, ზომით დოკუმენტ. 23,7 ოთხ. კუთხ. საჟ., ბანკის შეფასების აღწერ. 39,58 ოთხ. კუთხ. საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება, მე 2-ე ნაწ. ფორტშტაში, სომხების ქუჩაზე.

თავნი ვალი 4562 მ. 10 კ. შემოსატ. გარდ. 205 მან. 95 კ., სულ 4767 მან. 05 კაპ.

ქალაქ ქუთაისში.

ფრიდონოვი, ნიკოლოოზ ფრიდონის ძე: შენობანი და მიწა, ზომით დოკუმენტებით სიგძით 12 საჟ. $10^1/_2$ ვერშ. სიგანით 7 საჟ. ხოლო ბანკის შეფასების სიით $90^1{}_2/$ ოთხ. კუთხ. საჟ. ანუ რამდენიც აღმოჩნდება. ქარვასლისა და გიმნაზიის ქუჩებზე.

თავნი ვალი 5989 მ. 83 კ. შემოსატ. გარდ. 173 მ. 61 კ. სულ 6163 მ. 44 კ.

ქალაქ ბათუმში

თაიროვი ივანე ალექსანდრეს ძე: ორი ნაჭერი მიწისა და შენობანი. ერთი ზომით 160 ოთხ-კ. ს. მარიამის პროსპექტზე და ზღვის ქუჩაზე, მეორე ზომით 1793,2 ოთხ-კ. საჟ. სამ თანაბარ ნაჭრებისაგან შემდგარი. სასაფლაოსა და ტფილისის ქუჩ.

თავნი ვალი 76462 მ. 64 კ., შემოსატ. გად. 2999 მ. 81 კ., სულ 79462 მ. 45 კ.

ერევნის გუბერნიასა და მაზრაში.

ალთუნოვი პოღოს-ბეკ სიმონის ძე: ორი ნაჭერი მიწისა, სულ 919 დესეტ. 744 ოთხ კ. საჟ., ავდალიარის აგარაკში.

თავნი ვალი 19923 მ. 12 კ., შემ. გად. 420 მ. 24 კ., სულ 20343 მ. 36 კ. (3—1)

ახალი წიგნი

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის" რედაქციაშიაც

ნაწერები

პეტრე უმიკაშვილისა

გამოცემა „ცისკარი"-ს ამხანაგობისა.

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.

ფასი 30 კაპ.

საბჭო ქუთაისის საქალაქო სამეურნეო საზოგადოების ,,შრომა'-სი ამით აცხადებს, რომ სწავლა საზოგადოების სამეურნეო სკოლაში განახლდება პირველ სექტემბრიდან ამა მდგომარე წლისა. ამ სამოსწავლო წელში გაიხსნება მეორე კლასი. ფასი სწავლისა იგივე რჩება, რაც შარშან იყო, ე. ი. პანსიონერზე ას ოცდა ათი მანათი (130 მ.) და გარედან მოსიარულე მოსწავლეზე ოცი მანათი (20 მ.) წელიწადში. თხოვნა სკოლაში მიღების შესახებ უნდა იქმნეს დაწერილი სკოლის გამგის სახელობაზე.—ფოსტის ადრესი: Секретарю совѣта общества „Шрома" І. К. Такайшвили, для передачи завѣдывающей школою общества, въ гор. Кутаисъ. Контора Нотаріуса Анджапаридзе.
(7—4)

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი წიგნი

ბრძოლა არსებობისთვის

დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად

და სხვადასხვა **ლექსები და პოემები** დ. გაბრუაშვილისა. ისყიდება წერა-კით. გამ. საზოგ. და სხვა წიგნის მაღაზიებში. ფასი 60 კ. (30—6—26)

მიიღება წინასწარი ხელისმოწერა 1905 წ. ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო რუსულ გაზეთზე

„კავკაზსკი კრაი"

ყოველ-კვირეულ სურათებიან და კარიკატურებიან დამატებითა და თვიურ ჟურნალით ამ სათაურით „Кавказовѣдѣніе". ყოველთვიური ჟურნალი უფასოდ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ.

ამ მოკლე ხანში გაზეთი ყოველდღიურად გამოვა გაფართოვებულ პროგრამითა და საპოლიტიკო განყოფილებით. თანამშრომლობა ბევრმა აღუთქვა და რედაქცია მოელის მათგან მასალებსა და ხელთნაწერებს. რედაქცია იწვევს კორესპონდენტებს კავკასიის, რუსეთისა და საზღვარ-გარეთიდან, აგრეთვე წარმომადგენელთა და სავაჭრო აგენტებს განცხადებათა შესაგროვებლად.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კაპ., მეოთხეზე—5 კაპ., ბევრჯელ დასაბეჭდი განცხადებანი—დიდის ფას-დაკლებით. იმათთვის, ვინც რამე საქმეს ეძებს, დაკლებულია 5%.

გაზეთი ყველა დამატებით და გაგზავნით ჰღირს: ერთის წლით—7 მან., ნახევარის წლით—4 მან., 3 თვით—2 მან., 1 თვით—1 მან., გაუგზავნელად: ერთის წლით—6 მან,, საზღვარ-გარედ—14 მანათი. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ტფილისის ხელის მომწერთ დეპეშები სახლში მიუვათ ორშაბათობით და უქმე დღეებს შემდეგ.

რედაქციამ მოსახერხებლად სცნო, რომ მსურველთ გაზეთი უგზავნოს „წინასწარ ჩასაწერის ბარათით" („предварительная запись") 25 სექტემბრამდე უფასოდ; შემდეგ, თუ გაზეთის აზრი და მიმართულება მოეწონება, გაზეთის დასაკვეთ ფულს შემოიტანს, თუ არა და—გაზეთის გზავნა მოესპობა. მსურველს გაზეთი გაეგზავნება დაუყოვნებლივ, თუ რედაქციას მიუვა ამ განცხადებიდან ამოჭრილი „წინასწარ ჩასაწერი ბარათი".

რედაქცია და კანტორა იმყოფება კოჩუბეის ქუჩაზე, № 14.

რედაქტორ-გამომცემელი **ბ. ს. ესაძე.**

წინასწარ ჩასაწერი ბარათი.

„ " 1905 წ.

ვთხოვ რედაქციას ჩამთვალოს გაზეთ „კავკაზსკი კრაი"-ს ხელის მომწერლად და მიგზავნოს გაზეთი 1905 წლის ბოლომდე ამ ადრესით:

ჩემგან კუთვნილი გაზეთის დასაკვეთი ფული რედაქციას გამოეგზავნება არა უგვიანეს ამა წლის 25 სექტემბრისა.

მსურველის ვინაობა

Дозволено цензурою, Тифлисъ, 26 Августа 1905 г.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5.